


F 85.830  
3

# ლექსიკონი

1





# დედამიწა

I ქლასისათვის

(რომელმაც მოსამზადებელი კლასი გაიცარა)

მიმჯრივი გამოცემა

იყობ გოგებაშვილის „დედამიწა“ მიხედვით  
შეადგინა ვ. რამიშვილმა



F 85.830  
3

გამომცემლობა „განათლება“

თბილისი — 1978

6328-2000  
2007 08 08

499.962.1-81 + 499.962.1-8 (075)



4r (075)  
499.962.1 — 81  
6 214

დამტკიცებულის სსრ განთლების სამინისტროს

02205765

მხატვრები: შიორიშვილი ქლიფაძე  
სამრთავ ციცელი  
თამაზ ბალონი  
დიმიტრი ზარაფიშვილი

საჩედაჭერი კოლეგია:  
გიორგი ნატროვაძე  
უშანები ობილაძე  
არცოლაძე ჩიქოგავა  
ხუთა გილოზავა



60601—118  
P—————3—78  
M-602(08) —78

2118

-20

1365



## Նշուղութագիր

Խել զանքարած և ենցու Նըրառցնա,  
Շուղա արօն մժյոնոյրու!  
Ճանա, ծովու, թանտ հայուցնատ  
Շա Նշուղութագիր, Ֆյուրու!

Նամակառ յիշուրյան  
Շուղա արած, պուճոյըլլ-միյուրու!  
Ճանա, մարդառ, հայնու Ռուշնենտ  
Նշուղութագիր Ֆյուրու, Ֆյուրու!



## კეთილი შბა

შემთაღვომა იუთ. ვენახში გლეხი მწიფე მსხალს კრეთვდ. სანდრო ვენახის კართან იდგა და უცქეროდა. გლეხმა სანდრო დაინახა, დაუძხნა და ერთი დიდი მსხალი მისცა.

სანდროს უნდოდა ჩაეყიჩა, მაგრამ უცემ რადაც მოაგონდა და მინისაკენ მოკერცხდა.

— დედილი, მაის მსხალი ხომ ეჭმევა? — პატითა სანდრომ დედას.

— როგორ არა, შეიდო, — უთხრა დედაშ.

სანდრომ იმავე წამს მიირბინა თავისი დის დოვინთან, მისცა მაის მსხალი და სიამოვნებით უცქეროდა, როცა ავად-მეოფი პირს იტკბარუნებდა გემრიული მსხლით.

რა შესთავაზა გლეხმა სანდროს?

რატომ არ შეკაბა სანდრომ მსხალი?

როგორი ბავშვი ყოფილა სანდრო?

## დედის დარიგება

გიუვარდეს სწავლა, გულმოდგინება,  
შრომა და ჯაფა ნუ დაგზარდება!  
მუდამ გახსოვდეს, რომ ძენი ცოდნა  
ძენსა ქვემოთანას გამოადგება.

იუვ ბეჭითი და გქონდეს სმენა,  
დიდი განძია ცოდნის შეძენა,  
მაგრამ ამას გთხოვ, უველაზე უფრო:  
გულით გიუვარდეს სამშობლო ენა!

მერწმუნე, შეიღოთ, გამოცდილია:  
თუ საძირკვლი დანგრეულია,  
მაშინ კედლების ამენებისთვის  
უფლება შრომა დაკარგულია.




---

რისთვის სკირდება სწავლა და ცოდნა ადამიანს?

## მოსიუვარულე შეილი

საბაზმჭო ბადში სადილის შემდეგ დეიდა ნატომ ბაჟმებს ვაშლები დაურიგა. გურამია ერთ წითელ ვაშლს თვალი შეავ-ლო და დეიდა ნატოს გაუბედავად სთხოვა,— წითელი ვაშლი მე მომეცითო.

დეიდა ნატომ გერ გაიგონა მისი თხილვნა. წითელი ვაშლი მზიას შეხვდა. გურამს ეწევინა და ატირდა.

— რად ტირი, გურამ? — მსრუნველობით შეკითხა დე-იდა ნატო.

— წითელი ვაშლი რატომ მე არ მეტგოლ! — გურამის მაგივრად წამოიძახა მზიამ.

— დეიდა ნატო, ვაშლისათვის კი არა ტირის გურა-მი, დედა ჰევა აფად! — თქვა ნუნუმ.

ის იუთ, მზიამ წითელი ვაშლი ჩასაკბენად მიიტანა შირთან, ნუნუს სიტყვებს რომ მოჰკრა უური. გოგონამ გუ-რამთან მიირბინა, წითელი ვაშლი წინ დაუდო და უთხრა:

— ვამომართვი, გურამ, შენი იუოს!

ბაჟმებს მალიან მოეწონათ მზიას საქციული.

— ვაშლი მინაცა გვაქვს, მარამ დედიკო მინდა გავახა-რო! — თქვა კმაჟურულმა გურამმა.

რატომ იტირა გურამმა?

როგორ მოიქცა მზია?

როგორი ბავშვი ყოფილა გურამი? მზია?

# ସାହୁଜନ୍ମାତ୍ରାମ



ଅନ୍ଧରେ ଯେ ସ୍ଵରାତର.

## თენგიზის მანქანა



თენგიზის მოზრდილი უკითი მღიერს  
მიათრია მასშისთხნ და უთხრა:

— მამა, თუ გიგანტები, ამას თვლები  
გაუშეთე, სახელურები დააჭრი და კარგი  
„მანქანა“ მექნება!

მამის თენგიზის უკრძალება არ მიაქცია, რადგან სახლს  
აშენებდა და ხელისხმებს ჩრდაფად აწვდიდა აგურის. თენგიზი არ  
მოუშებდ. მამის ური კვლერ უთხრა, შესვენების დროს სადღაც  
გამოიძინა მშეფი თვლები, ისინი ერთმანეთთან დერმით შეაერთა,  
ლურმზე უკითი დააჭრა, უკითხე სახელურები დაამაგრა და თენ-  
გიზის უთხრა:

— ასეთი „მანქანა“ გინდ?

— ჩრდე ასეთი. რა კარგია! შენ რომ ორთვებლათი  
აგურს ეწიდები სწორედ ისეთია,— ამბობდა გახარებული თენ-  
გიზი და ჟოველ ნაწილს უსინჯავდა ორთვებლას.

— რად გინდა ქს თრთვალა? — შეეკითხა მამა.

— აგურს ჩავაწერა და ხელოსნებთან მივიტან. მეც და-  
გეხმარებით სახლის ამენებბში.

თენგიზი ლო ან სამ აგურს დებდა ორთვებლაში და თან  
მხიარულად გაიძახოდა: გზა მომეცით, ჩემი „მანქანა“ მოდისო!

რა სოხოვა თენგიზმა მამას?

რისთვის უნდოდა თენგიზს ორთვალა?

## სიძლერა

გვიშვარს, როგორც იავნანა,  
 როგორც ტკბილი ჰდაშარი,  
 საქართველოს ცა და მიწა,  
 საქართველოს მთა-ბარი!  
 იგი ქვენის თვალი არი,  
 სურმუხტ-ზრდი ჰყენია,  
 აღაგ — წითელ, აღაგ — უმითელ,  
 აღაგ აღისულია!  
 ან კი როგორ არ გვიშვარდეს  
 ჩალსი სისელგანთქმული,  
 კაშაცების ღეღაენა,  
 ღეღაენა ქართული!

სიტუვების ახსნა. ზურმუხტ-ლალი — ძვირფასი ქვები.

## ამხანაგები

ძველად ერთ სკოლაში ზატარა ნინო სწავლობდა. ის ლამაზი გოგონა იქთ, მაგრამ ამხარტავნობდა, ზარმაცობდა და ამხანაგებს დასცინოდა. მეტადრე აბუჩად ჰევდა აგღებული ზატარა ელამი კატო.

ამხანაგებს არ მოხწონდათ ნინოს საქციელი.

ერთხელ უვავილი გაჩნდა. დედ-მამის დაუდევრობით ნინოს აცრილი არ ჰქონდა. უვავილი შეხვდა და სახე დაუმახინჯა. ბავშვმა დაკარგა სილამაზე, რითაც ამხარტავნობდა.

გამოჯანმრთელების შემდეგ ნინოს მმობლები სკოლაში გზავნიდნენ, მაგრამ გოგონა ცივ უარის იდგა: სცნებითდა და ეშინოდა ამხანაგებისა. ბოლოს, როგორც იქთ, გავზავნეს სკოლაში. მიდის ნინო და გულში შიშობს: ჩემი ამხანაგები რომ დაკენკილ სახეს დამინახავენ, მასხარად ამიგდებენ, წინანდელ ჯავრს ამოიერან და გულს სულ ჩამითუთქავებო.

შევიდა სკოლაში გაფითრებული და ბკანკალებული ნინო, მაგრამ დახეთ მის გაცემის: ამხანაგებმა დამახინჯებული ნინო რომ დაინახეს, სიბრალულით აეგსოთ გული და ცდილობდნენ, ალერსით ქნუგეშებინათ. ეველაზე მეტ თანაგრძნობას კატო უწევდა.

ნინოს გული აძლევდა სიხარულისაგან და თვალებიდან  
შევბის ცრემლი წასკდა.

როგორი გარეგნობა ჰქონდა ნინოს? ხასიათი?  
რა შევმოხვა ნინოს?

რატომ უძნელდებოდა ნინოს სკოლაში დაბრუნება?  
რატომ წასკდა მას შევბის ცრემლები?  
წერილობით გაეცით პასუხი ამ კითხვებზე.

## ქარი და საბძელი

კალოიანა იქთ. ქარმა ბევრი ბზე მიშეარა საბძლის კარ-  
თან და დაუძნა: საბძელო, კარი გამიღე, ბზე უნდა შემოვი-  
ტახოო! საბძელმა უჩასუხა: მამიავ, შენი ამბავი რომ ვიცი,  
ერთი მხრიდან შემოტანილს მეორიდან გაიტან და თან ჩემს  
საკუთარ ბზესაც გაატანო. დამეხსენ, არც შენი შემოტანილი  
მინდა და არც გატანილით.

---

ანდაზა. ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებსო.

რა უთხრა ქარმა საბძელს?

რატომ უთხრა საბძელმა ქარს უარი ბზის შემოტანაზე?



## და-მძა

თამრიკო და მერაბი შინ დედზე ადრე მივიღნუნ. გთვა-  
სამ მაგიდაზე დაურეცხავი ჭურჭელი დაიხახა.

— დედას კერ მოუწერია... — ჩაილაპარაკა მან და მაგი-  
დასენ გაეშერა. — ალბათ, სამსახურში აგვიანდებოდა. უნდა  
მივეხმაროთ დედას, — უთხრა მმას.

ბავშვებმა წინსაფრები აიყარეს და საქმეს შეუდვნენ. თამ-  
რიკომ ჭურჭელი სუჟთად დარეცხა, მერაბმა კი ტილო ჩა-  
მოიღო და ჭურჭელი დაწინდა.

ბავშვებმა უველავერი თავის ადგილზე შეინახეს და მა-  
გიდა გადაწინდეს.

როდესაც დედა სამსახურიდან დაბრუნდა, თამრიკო და  
მერაბი გაჰქითილებს სწავლობდნენ.

დედამ ღიმილით გადახედა მაგიდას და კარადა გამოაღო.  
დაინახა დარეცხილი ჭურჭელი, გაიღიმა და გახარებულმა  
ორივე შეიღას შებლზე აკოცა.

ანდაზა. კარგი შეიღო დედის გულის ვარდიათ.

როგორ დაეხმარნენ შვილები დედას?



## ԵՎԱՅԼՈՒՏ ՃՄՈՐՋԸ

Ի՞ն յառը դուռ ցատյեմք,  
Ի՞ն միջնորդ քարօն!

Խցին ուշու ճ տամարօն  
Նշուլունքյն մոտիվարօն.

Դրոջյես ևս յաջումիս,  
Դրոջ Ծգմուլմաշյարօն,  
Անոն վարհինյալյանոն,  
ԵՎԱՅԼՈՒՏ ՃՄՈՐՋԸ արօն.

Ժորութեն եմ ռոմ զամանիս,  
յիս մատու Նշուլուտ կարօն.  
Ի՞ն յառը դուռ ցատյեմք,  
Ի՞ն միջնորդ քարօն!

Սաստ մոտիվարօն პարարյեծ?  
Ռոցուր ԵՎԱՅԼՈՒՏ օնոն?  
Հաս նունազս, ԵՎԱՅԼՈՒՏ ՃՄՈՐՋԸ արօն”?



## თხა და გიგო

იუთ ერთი ზარმაცი გიგო. ერთხელ თქვა: მოდი, ერთი თავს გამოვიჩენ ბეჭითობითათ. გამოვიდა სახლიდან, გამოიტანა წიგნი და გავიდა სოფლის მოედანზე. ჩამოჯდა იქ კუნძული, დაიდო წიგნი მუხლზე და შიგ ცქერა დაიწუო, ვითომ, ერთი შემომხედვეთ, რა ბეჭითი ბიჭი ვარო! წიგნი ეჭუდმა ედო, არ კითხულობდა და შიგ ტუშილად იცქირებოდა.

მაღვე მიღი მოერთ და თავს ასკილივით აქნევდა. ამ დროს მეზობლის თხა ფეხების ბაკუნითა და წვერის ცანცარით ბაკიდან გარეთ გამოვიდა. გიგოს თავის კანტური რომ დაიჩახა, თხას ეკონა საჭიდობდ მიწვევსა, გამოექანა, დაუჯახა რქებით, ეირამბლა გადაატრიალა და ააღრიალა ჩვენი თავმომწონე გიგო.

---

რისთვის გაიტანა გიგომ წიგნი მოედანზე?  
 რატომ დაეჯახა თხა გიგოს?

## ჯიუტი თხები

მდინარეზე გიწრო ხიდი იყო. ამ ხიდზე ორი ჯიუტი თხა შეხვდა ერთმანეთს. გვერდის აქცევა შეუძლებელი იყო. ერთ-ერთს უკან უნდა დაეხია და გზა დაეთმო.

— უკან დაიხიი! — უთხრა ერთმა მეორეს.

— ნურას უკაცრდვად! რატომ უნდა დავიხიო? მე პირველი ამოვედი ამ ხიდზე. მენ თვითონ დაიხიი!

არც ერთს არ უნდოდა უკან დახევა. მოუვიდათ ჩხუბი. დაეჯახნენ ერთმანეთს რქებით.

ჯიუტმა თხებმა თავი ვეღარ შეიძაგრეს და ეირამალა გადაცვივდნენ წეალში.


გამოცანა. ცოდნალია — ბალასია ძოვს, მოკვდება და — ღვინოსა სვამს.

სად შეხვდნენ თხები ერთმანეთს?

რა მოუვიდათ თხებს თავიანთი სიჯიუტით?



## ზოოპარკში



ერთ დღეს ბიძამ თედო ჭორაბარები  
წაიყვანა.

შესვლისთხნავე ათასნაირმა სმაურება  
მიქცია თედოს ეურადღება.

— აი, აქედან დავიწეოთ, — უთხრა  
ბიძამ თედოს და პირველ გაღიაბნას  
მიიყვანა.

გაღიაბნა შატრა იქნ. შიგ შაწაწა თეთრი თაუგები დაცუ-  
ნუნებინენ. ზოგი მავთულებიდან შატრაზ დინგი გამოუყოფ.

ჯერი მელიების დათვალიერებაზე მიღვა. ერთი მელია  
უკანა უქაბძეებ წამოუნტესლიერ და თედოს სასაცილოდ შექ-  
ცქროდა, მერე შემოტრიადდა და წივილს მოჰქვა. არ მე-  
ლიას მორის ისეთი ჩხები ატევდ, რომ დარაჯმა მლიგს კა-  
მეგლა რგინის გრძელი ჯორით.

— მია, მია, დასქ, ჩვენს მერია მაღლის როგორ ჰერცე! —  
გაიხმა თედოს სხა. თედო მელიებს გულდაბმით ათვალიერებდა.

თედომ ახლა დათვებს მოჰკრა თვალი და იქით გაიქც. —  
თხხი დიდი გალია იდგა ერთიმეტრის გვერდით. გალიებმა  
სწავდასხვა ფერისა და სიდიდის დათვები იუვნენ.

ცოცხა არ იყოს, თედოს დათვებისა შექმინდ და ბიბას  
მიერდა. თედოს გვერდზე მეტად ხელით მოეწონა.

---

კიდევ რომელი გარეული ცხოველი იცით?

F 85.830  
3

K 123 966



## ჩვენი მასწავლებელი

შეგეასწავლა ანი, ბანი,  
შეგეავგარა დედაენა,  
თაგას გავლება, ფრთებს გაისწორებს,  
რომ თამამად შევძლოთ ფრენა.

აღმსრდედის გუნდად გარს ჟინევით  
და გისტრის კიყით უფრო კრიტი.  
ჩვენი საქმით დავააჩხოთ  
მისი შრომა და აძაგი.

როგორ გესმით: მასწავლებელი „ფრთებს გვისწორებს,  
რომ თანამად შევძლოთ ფრენა“?  
რა სურთ მოსწავლეებს?



# თხა და მელა

(იგავ-არაკი)

თხა და მელა დაშმობილდნენ. მათ სახიაროდ კანა და-  
თესეს. კარგი მოსაფალი მოვიდა. შმობილებმა მომექს კანა,  
გალენეს, გაანიავეს, ხევი ცალკე დააგროვეს და ბზე — ცალკე.

— ხევი მე და ბზე შენა! — უთხრა მელამ თხას.

— არა, ორივე შეაზე გავიუთ! — უბასუსა თხამ.

— მაშ, მე წავალ, ბიძაჩემს მოვიუვან და იმან გაგვი-  
კოს. — უთხრა მელამ და წავიდა.

სანამ მელა მოვიდოდა, თხამ ცხერის ფარიდან ორი დი-  
დი ქოვაბე მოიუვანა და ბზეში დამალა.

მოვიდა მელა და ერთი ისეთი მცელი მოიუვანა, რომ  
თხას შიშით თვალთ დაებნელდა.

— ჩემს დისწულს რად აჩივჭებ?! — დაუღრიალა მგელ-  
მა თხას.

— რადგანაც მოწმედ მოჰყოლისარ, მეც მამა-ბიძა აქ  
მისაფლავია, იმათ საფლავზე შედექ, დაიფიცი და მაშინ მარ-  
თალი მოწმე იქნები, — მიუგო თხას.

მგელმა თხის შეჭმა მოინდომა, მაგრამ ამ დროს წამო-  
სტნენ მაღლები, მელა და მისი მოწმე ისე გახადეს, რომ  
მარმანდელიც დაავიწეუს, თორემ წლევანდელს ვინდა ჩიოდა.  
დარჩა თხას შთელი მოსაფალი.

ანდაზა. რაც არ გერგება, არ შეგერგება.

როგორ გადაირჩინა თხამ თავი?


## ହେମି ମହାରାଜ

ଗିନ୍ଦୁ ଏହିବେଳା ଶାକାରତଙ୍ଗାଲୋଳ  
ଶବ୍ଦରୁକ୍ଷନ୍ଧେତ୍ର ଶ୍ରୀରାଧା,—  
ଶିମଦ୍ରାବିନ୍ଦୁ ରକ୍ତ ଆର ଉତ୍ତରାଧି,  
ମେଦିନ୍ଦୁ ଫାନିମଦ୍ରାବିନ୍ଦୁଃ.

ଗିନ୍ଦୁ ମିଶ୍ରଦ୍ଵାରା ହେମି ମତେବିଳେ  
ଶ୍ରୀରାଧାରଙ୍ଗନ୍ଧେତ୍ର ଫା ପରିପୂର୍ଣ୍ଣଦ୍ଵାରା,—  
ଶିମଦ୍ରାବିନ୍ଦୁ ମୃତ୍ସନ୍ତାର ଗାନ୍ଧାରୀଫେରି,  
ଲୁହିଶାର ଇଶାରବିନ୍ଦୁଃ.

ଶାକାରତଙ୍ଗ ଶିଲ୍ପାମଦିନ୍ଦୁ,  
ଶବ୍ଦଶିରି ଶିଶିଶ୍ରୀଲୋଳ,—  
ଶ୍ରୀରାଧାର କିମ୍ବା ମତିନାଦିରାଧିନ୍ଦୁ  
ଶ୍ରୀରାଧା ଶାକାରତଙ୍ଗାଲୋଳ!

ଶିକ୍ଷ୍ୟବେଶିଳେ ଅକ୍ଷେନା. ଶ୍ରୀ ରାମ — ମନ୍ଦିରମେ  
ଗୁରୁକୁ. ମଗନ୍ଦିଶାନ୍ତି — ଶିଶୁ.



## ՏԱՏԵԱՂՑՐՈ



Աղբյուրը յև Խորանը.

## “Ջ յ ջ ա յ ն ա”

Ի՞շեն կ'ոչեն, ի՞զեն ոչքա,  
 ի՞նցեն լին վճռուցած,  
 այրուեմուստ և մյօնաց  
 զյուժու ամաելութուցաւ!

Զյօնու մյուս մյուռից,  
 և յօշարշալու նորշյալու,  
 մյումայածու ահանչյ  
 մյառուծյալու պրոնշյալու.



## Ջ ա տ յ ն ե ծ օ

Ծյումու յշութուղյամա եցեց եսէնյալա նամաւծյես, արեյօննագ  
 իննառնեցնեն դա տան մըցրուցնեն.

Ջատյեցնեմա եսմացյած ռում զաւշունես, մասուծնեյես դա յիշու-  
 ցէմություննեն լույսու դաշնիյնես.

— մուջու, յուրու, օնսոնու նամայարութ դա ի՞շին զոյիննա-  
 ռու! — յուերա յայրուեմա ջատյեցնամ յմբուրուես.

— ճնճ, ճեղացն վիճու, տյացլութ աջար դաշնինետու, ովքյումա  
 և մուջուրամ յշություն ըմաշցոյիշյալ! — յիշութուղյան առջնեցնեն դատյեց-  
 նա դա տան յշութուղյամ տաղպաւ յմետնեմմացյան առջնեն.



ჩამოყარეს ძირს საწულები და თვითონ შესხდნენ საქანელაზე.  
გასარებულები არსეინად ქანაობდნენ და დრიალებდნენ.

იქვე ჩაჭუცეული საბრალო კურდღლები კი იცრემლებოდნენ.

უცბად საქანელა გაწედ და დაფუნქბა ძირს მოადინეს  
ბრაგვანი.

კურდღლების სისარულს სახელვარი არ ჰქონდა.

## ბუზი და ეტლი

ორი ბედაური ცნები ეტლის მიაქროდებდა.

ბუზი გაექანა და ეტლზე დასკუპდა, - კითომ მე მიგარებენი-  
ნებ ეტლსათ და თავმოწონებით მორთო მახილი: — ერთი შე-  
მომხდეთ, რა კორიანტელი დაწეუნეთ!

სიტყვების ახსნა. ბედაური ცხენი — კარგი ცხენი.

როგორ ადამიანს მოგაგონებთ ბუზი?

## ଶାର୍ଜାଲୀ ମେଳା

(ବାଲକୁରି)

ଶାର୍ଜାଲୀ ମେଳା ହିନ୍ଦା:  
 — ଏହି ମନ୍ଦିରରେ ମିଳିଯା,  
 ଜୀବିତରେ ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳାଯି,  
 ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳାଯି;  
 ଏହିକଣ୍ଠରେ ମିଳିଯା,  
 ଏହିକଣ୍ଠରେ ମିଳିଯା;  
 ଏହିକଣ୍ଠରେ ମିଳିଯା,  
 ଏହିକଣ୍ଠରେ ମିଳିଯା;  
 ଏହିକଣ୍ଠରେ ମିଳିଯା,  
 ଏହିକଣ୍ଠରେ ମିଳିଯା;

ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳିଯା;  
 ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳିଯା,  
 ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳିଯା;  
 ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳିଯା;  
 ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳିଯା;  
 ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳିଯା;  
 ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳିଯା;  
 ଶାର୍ଜାଲୀ ମିଳିଯା;

କୋଣରେ ମିଳିଯା?



## თავნება თაგვი

თავნებს ერთი სახლის ასლოს სორო ჰქონდათ. ამ სოროდან ისინი უკველ მხარეს თხრიდნენ მიწას. მხოლოდ ერთ მხარეს ერიდებოდნენ. მათში ერთი ერთი ახალგაზრდა თავნება თაგვი. აიტქა ამ თავნება: აქეთიც უთუოდ მიწა უნდა ვთხოვთ და ქონი გამოიყოსაროვ.

გამოცდილმა თავნებმა უთხრეს: მანდეოგნებ მიწის თხრას თავი დაბანებე, თორებ ქონის მაგიურად კატას გამოთხრი და თავს დაიღუპავო. თავნებმა არ დაუკავა და ოქვა: რა იციან ბებრებმათ. თხარი, თხარა მიწა და მართლა გამოთხარა, პაგრამ ქონი კი არა, ვეებერთელა მშიერი კატა.

კვდებოდა თაგვი კატის კლაჩებში და ამბობდა:

— ახა ჩემზე! უფროსებმა და ჩემზე გამოცდილებმა გარკა დარიგება მოძევს, მე კი არ გავუგონე, მასარადც ავიგდე და თავი დავიღუპვი.

**ანდაჲა.** თავნება თხარა, თხარა, კატა გამოთხარა.



რატომ ერიდებოდნენ თაგვები ერთ მხარეს მიწის თხრას?

რა მოინდომა თავნება თაგვება?

რას ურჩევდნენ ხნიერი თაგვები ახალგაზრდას?

რას ამბობდა თავნება თაგვი სიკვდილის წინ?



## ჩხუბს თავდათიანობა მოსდევს

თრი ბიჭი ეძნიდნ მოდიოდა. გზაზე დამზადი თოკი  
იარევს. ერთიც თავისთვის სუშობდა, მეორეცა. მოუკიდათ  
წერბი. წაავლეს სელი თოკსა და ერთი ძექო ეწეოდა, მეო-  
რე-იქით. უციმ თოკი გაწედა და თრიჯენი ძექო-იქით გადა-  
ცვიგდნენ.

იმათ საუბედუროდ, გზის მარჯვნივაც წემპე იდგა, გზის  
ძრცხნივაც. მოხსებარი ბიჭები  
თხით წემპეში ჩაცვიდნენ.

---

რა იპოვეს ბიქებმა?

როგორ მოიქცნენ?

რა მოუვიდათ?



## კველაზე გემრიელი საუზმე

შინ მარტო მამუკა და ბებია იქნენ. მამუკა თავისთვის თამაშობდა. ბებია საუზმის სამზადისში იყო.

— გაიმე! — შემოეხმა მამუკას.

ბიჭუნამ სამზარეულოში შეირბინა.

ბებოს უკრძალ წელი გათქვებოდა, ვისეიშებდა და იურ ერთ ამბავში. დოგინაძე ძლიერ მიაღწია.

მამუკას თამაში სულ გადაავიწერა. სიმწრისაგან ცოტმლა-მორეულ ბებიას ამმვიდებდა, კვერცხოდა, ეტიტინებოდა და აცინებდა.

— გაიმე, ჩაი აშიშინდა, გაზს ვინ გამორთავს ახლა! — შეიცხადა ბებიამ.

— მე გამოვიდოდ, ბებო, მე!

შემუკა გაზის გამოსართავად გაექმნა.

— ახლა ვინ გაგვიწუობს სუფრის?

— განა მე კვერ გამოვადებ კარადას, სუფრის გაშლას რა უნდა? — დააიმედა მამუკამ.

გაიქცა ბიჭუნამ და კრიკ ხანს ისმოდა ჯაძ-ბურჭლის წევრუნი.

კაიხედ ბებოამ და რას ხედავს: მამუკა მოდის და ლამბაქ-ჩე დადგმული ჩაით ხავსე იუნჯანი ფრთხილად მოაქვს.

ბებოს ლოგინთან სეაში მიუჩიხა, ხელსახლცი გადაუფრჩ, იუნჯანი წინ დაუდგა და კარაქწისმული ნურიც მიურბენინა.



თვითონაც ისაუსძა

— ისეთი გემრიელი საუზმე არასოდეს მიჭამიათ! —  
დიდხანს სამბოდ ჰქონდა ბებოს.

რა მოუვიდა მამუკას ბებიას?

ვინ გამორთო გაზი?

რას აკეთებდა მამუკა სამზარეულოში?

რა თქვა ბებიამ საუზმის შემდეგ?

## მგელი და მაღლი

(ზღაპარი)

ერთხელ, დამით, მშიერი, გამხდარი მგელი შეხვდა მაძ-  
დარ, ფუნჩულა მაღლს და შეესარბა მისი ცხოვრება.

— ჩვენ,— თქვა მგელმა,— გამწარებული ვართ საჭმლი-  
სათვის. რამდენი შრომა, რამდენი საშიშროება გადაგვაქს:  
ორმოცდათ კილომეტრამდე გავირბენ დღეში და მაინც გრ

უძღვის. შენ კი, აი, როგორი ფუნქციები ხარ. მითხარი, რას აქვთებ, რატომ ჰავაგარ ადამიანებს ასეთ ქარგ უთვაზმი?

— ღამდამიანით ესოს ვებრაული და ჩწორებ ამიტომ მაჭტევს პატრონი,— მიუკო მაღლმა.

— ამიტომ გაჭტევს პატრონი? — ჰკითხა მგელმა.

— ამიტომ, ჩვენთან თუ იმსახურებ, შენც ასევე გაჭტევებ.

— რატომაც არ ვიმსახურებ,— მიუკო მგელმა,— ამ საქ-  
მეზე ითლი რა იქნება? ახლავე წამოვგდ შენს პატრონთან,  
მიმიღებს?

— მიუიღებს.

გასარებული მგელი გაჭტება მაღლოს. ესოს რომ მიუგხლოვ-  
დნენ მგელმა ძეამნია, რომ მაღლოს კისერზე ბაღძნი ჰქონდა  
გრძელებილი.

— ეს რატომ გაჭტებ? — ჰკითხა მან.

— ისე,— მიუკო მაღლმა.

— არა, მითხარი!

— დღისით ჯაჭვით მაბაძენ ხოლმე და ეს იმსაგან და-  
მემართა,— უთხრა მაღლმა.

— მაშ, მშვიდობით! სჯობს ვიშიმშილო, მაკრამ თავი-  
სუფადი ვიჟო! — თქვე მგელმა და ჩწორფად გაბრუნდა უკან.




---

რა შეეხარბა მგელს?  
როგორი ცხოვრება ირჩია მგელმა?

## ରତଙ୍ଗପତ୍ର

ଧର୍ଜୁ, ଶିରି ଧାଇବନ୍ଦୀ,  
ଧର୍ମଚାରୀଙ୍କିଣୀଙ୍କିଣୀ,  
ରା କାନିବା ଫ୍ରେଲ୍ଫିଲ୍ଡ ଶିରି  
ଗ୍ରେନିକ୍ସିଂ ମହିନେବିନ୍ଦା.

ଧର୍ଜୁ, ଧାନ୍ତି ଗ୍ରେନିକ୍ସିଂକ୍ସିଂ,  
ଧ୍ୟାନିକ୍ କୃଷ୍ଣା, ଧାର୍ମକାଳି!  
ଏ ମାହ୍ୟାଲିକ୍ ଓହ୍ ଧ୍ୟାନ୍ତିଶ୍ଵରି,  
ମାର୍କ୍ୟାତଳି ରା କାରିକ୍ତରିତରିତରି.

ଶ୍ରେଣ୍ଯବ୍ୟକ୍ତିରିତି ଧାର୍ମକାଳି,  
ଧାର୍ମକାଳିରିତିରିତି, ଧାର୍ମକାଳିକ୍କିଣୀ,  
କୃତ୍ୟାନ୍ତିକ୍ ରାତରିକ୍ତରିତି ମାହ୍ୟାଲିକ୍କିଣୀ,  
ଅନ୍ତର୍ମାନ୍ ରା ଅନ୍ତର୍ମାନ୍ତିକ୍କିଣୀ!




---

ସିକ୍ତିକ୍ଷେପିକ୍ ଆଶିନ୍ତା, ଶିରି — ନେଣ୍ଠି ନୀବ୍ରି.  
ଧୁର୍ଗ ଶୁର୍ଗ, କାରିକ୍ତରିତରିତି — ପାଥିକ୍ ଜିଶ୍ବେଦି.

## ସଂପଦ

କେତ୍ରପଳିକା ରତ୍ନପଳିକା ଗାହିଲାରୁ । ମେଳାର୍ଥପଳିକା ଶ୍ରୀନିଲ-କୋଣପଳିକା ଗାହିଲା ଗିର୍ଜା ଶକ୍ତିକୁ ପ୍ରକଳ୍ପିତ କରିଲାମ୍ବନ୍ଦିରୁ ।

ଅତାରେ କାନ ଗେରି ପାଞ୍ଚଟାଙ୍କ ମିଳିରେଖିଲା, କାନ ମେଲାର୍ଥପଳିକା, କାନରେଖିଲା ପାଞ୍ଚଟାଙ୍କି ମଧ୍ୟରେ ମୁହଁରେଖିଲା ଯୁଦ୍ଧକ୍ଷେତ୍ରରେ ଆଲାଗାଯାଇଲା ।

ଗିର୍ଜା କାନ ପାଞ୍ଚଟାଙ୍କି ମାରିଲା ଫାରିଦାର ରାଜିତ ପାଞ୍ଚଟାଙ୍କି ମଧ୍ୟରେ ଲେଖିଲା ଫାରିଦାର ପାଞ୍ଚଟାଙ୍କି ପାଞ୍ଚଟାଙ୍କି ପାଞ୍ଚଟାଙ୍କି ପାଞ୍ଚଟାଙ୍କି ପାଞ୍ଚଟାଙ୍କି ।

— ଗୁଡ଼, ରାମକ୍ଷେତ୍ର ବ୍ୟାପକା, ରାମକ୍ଷେତ୍ର ! — ପଦକାଳ ଗାହାର୍ଜୁଗାନ୍ତିରେ ରାମକ୍ଷେତ୍ରରେ ରାମକ୍ଷେତ୍ରରେ ।

— ଏହା, ଶ୍ଵରିଲା, ହେ ବ୍ୟାପକ ଏହା କାନିଲା, ମାତ୍ରାକି କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା, ବ୍ୟାପକ ଏହା କାନିଲା କିମ୍ବା ! — ତକ୍ଷା ଶକ୍ତିକୁ ରାମକ୍ଷେତ୍ରରେ କାନିଲା, ଏହା କାନିଲା କାନିଲା କାନିଲା କାନିଲା, ଏହା କାନିଲା କାନିଲା କାନିଲା ।

ଏ ଗାହାଲାଦା ସମ୍ପଦକାଳି ?

ଏ ଶ୍ଵରିକାଳା ପାତାରା ?

ଏ ଏହାର ବ୍ୟାପକ ? କିମ୍ବା ?

କିମ୍ବା କାନିଲା କାନିଲା ?

## ნატარას

აი, ეს მიწა, ბუნება,  
ეს მოქარგული მთა-ბარი,  
ჭანები, ჰურის ებნები —  
ველებზე თქროს ფაფარი —  
შენია, შენით იცოცხლების,  
რასაც კი თვალით გასწვდები,  
შენ მოგენდობა გულდიად,  
როდესაც დაგაჭერდები.  
გიუგარდეს შენი ქვემანა —  
სიმართლის ფერმდებელი,  
იყია შეთას სამშობლო —  
გონების მაღიდებელი.

---

სიტყვების ახსნა. შოთას სამშობლო — შოთა რუსთავე-  
ლის სამშობლო.

რას ნიშნავს: „ეს მოქარგული მთა-ბარი“?  
„ველებზე თქროს ფაფარი“?

## ՌԹՎԵԼՈ

— ահ, նոյնօր, մարջաղնա մերօքան քաջովիշտ! — տվյալ ծրագրավորմա და ջուր քաղաքա այցա եղածի.

Ճերածալցած զինօր պատլեցած, շառավառնեցած մշականակ և ալուսօնաց մշացացներ. մենակ և ներացներ նամանա միուց մթացնեցած խարցանացատ հիմնացած. զարդուցած մալու զարդար.


— ահ, զայքացած, և ազնյ զարդուցած քայլալու դա բարուցած մարդաց մոշացացալու!

Մռացանեց մանյանցած օդաց. օյսաց և ալուսօնա հումկուլու ոչտ. միյ զարցած ոյտ անցալու, ռուցա և ազնյ զարդուցած քայլալու մանյանցած կառավիճակուս մարնենական զայմարտնեցն.

մարնենական փայտուցած մրցնեաց զարդուցած մարնենական և ալուսօնա մռացանեց օդաց և ալուսօնա մարնենական զայմարտնեցն.

---

Հոգուր ծնննացա միուց մթացնեցա? հաս ապրունացն կառմեցնեցա?



## მატარებელი გადაარჩინა


დილიდან წვიმდა. შეადგისას კი ჰირდავირ კოკისძირული წვიმა წამოვიდა. მდინარე გლდანულა სმაურით მოდიოდა და ქვებს მოაგორებდა.

ავჭალის სადგურზე სამგზავრო მატარებელი წასასვლელად ემზადებოდა. უცებ ელმავლის კიბეზე ოფლში გაწუწული ბაჟჭვი ავარდა.

— მაა, არ დასმრა მატარებელი, ხიდი ინგრევა, ხიდი! — ამბაბდა ბაჟჭვი და სულს ძლიერდა ითქვამდა.

მატარებლიდან მგზავრები ჩამოვიდნენ.

ბიჭი მათ წინ გაუძლვა. მალე ხიდთან მივიდნენ. ხიდის ქრთი სვეტისათვის წებლს მირი გამოეთხარა და სვეტი გაზარდა წელიუთ.



ხალხი გაშეშებული შესცეკვოდა ამ სურათს. მათ იგრ-  
მნეს, თუ რა უბედურებას გადაარჩინა ბავშვება ისინი.

— უოჩად, ბიჭუნა, უოჩად! — იგრიალა ხალხმა და ტაშით  
დააჯილდოვა შატარა ბიჭი.

---

გამოცანა. ოთხი მმა ერთად მირბის, რამდენიც უნდა ირბი-  
ნონ, ერთმანეთს კურ დაეწევიან.

რატომ აღიდდა მდინარე?

რა დაანგრია აღიდებულმა მდინარემ?

ვინ შენიშვნა ხილის დანგრევა?

ვის შეატყობინა ბიჭმა ეს ამბავი?

## ხეალინდელი დილა

შატარა თათია სოფელში ცხოვრობდა. დეიდა თინაშ ის  
სადღესასწაულოდ თბილისში ჩამოიევანა. დეიდაშ თათია რუს-  
თაველის გამზირზე გაასეირნა. გოგონა გაკვირვებული აქეთ-  
იქით აცეცებდა თვალებს. მალიან მოხწონდა მორთული ქუჩე-  
ბი. ჰლაპატების წარწერას თათია დამარცხელით კითხულობდა.

— რა ლამაზი ქუჩა! — ამბობდა თვალებგაბრწეიბუ-  
ლი თათია.

— ხეად აქ, დემონსტრაციაზე, შენოდენა გოგონები და  
ბიჭუნები გამოვლენ უკავილებითა და წითელი დროშებით. შენც  
მოემზადე! — უთხრა დეიდა თინაშ.

მთელი საღამო თათია სულ ხეალინდელ ჰეიმზე ფიქ-  
რობდა, მერე თეთრი ბაფთები გარეუოვა, ფეხსაცმელები გაი-  
კრიალა. უნდოდა, მალე გათენებულიერ ხეალინდელი ჩილა.

---

როგორ მოემზადა თათია სადღესასწაულოდ?  
როგორ ემზადებით თქვენ?

## ნოემბრის დილა

მზებ წითლად ამოანათა,  
თუ ეს დოოშების ფერია?!  
ნოემბრის დილა გათენდა —  
დღეს შეიძი ნოემბერია!

გახედეთ, ჩვენთან ჰეიმზე  
მზეს ეელა მოუდერია  
და, როგორც სალამურები,  
ჩვენი გულებიც მდერიან.



# Տ Ա Տ Ա Ջ Ծ Ղ Թ



ՃՌՄԵՐԵՐ յե ԽԵՐԱՏՈ.

## ადამიანის სხეულის ნაწილების ჩხუბი

ერთხელ ადამიანის სხეულის ნაწილები წარიგიდნენ. უკეთ-  
მა თქვენ: ადარ გვინდა თქვენი ტარება! თუ კარგია, თქვენ  
თვითონ იარეთო! სხეულის წამოიძახეს: გვიშო ამდენი მუ-  
შაობა თქვენთვის! ახლა თქვენ თვითონ იმუშავთ, თუ კარ-  
გიათ!

პირმა წარბუტბუტა: განა სულელი ვარ, მუდა გასვათ,  
ვაჭაროთ. ადარ მინდა თქვენთვის საჭმლის ღებულო!

თვალებმა თქვენ: მოგვწეინდა თქვენი ამდენი დარჯობა,  
ადარ გვინდა თქვენთვის ამდენი ცქერა!

ეურებმაც ხელი აიღეს სმენაზე.

ასე წარჩეულენ ადამიანის სხეულის ნაწილები და შეწყი-  
ტეს ერთმანეთის სამსახური. მაგრამ რა გამოვიდა? სხეულის  
ჟელა ნაწილი დასუსტდა, სხეული ჩამოხმა და სიკედილზე  
მიდგა. მაძინ მიხვდნენ ნაწილები, რომ ჩხუბით ისინი ერთ-  
მანეთს დაღუპავდნენ. ისევ შერიგდნენ, იწევ ერთმანეთის და-  
ხსარება, და სხეულს უწინდელივით ჯანმრთელობა და ღონე  
დაუბრუნეს.

გამოცანა. ერთ ქარხანაში ოცდაცამეტი მუშაა; მათში ოცდა-  
თორმეტი მუნჯია და ერთი მოლაპარაკე.

როგორ იმოქმედა სხეულის ნაწილების ჩხუბმა თითოეულ  
მათგანზე?

რას მიხვდნენ ისინი?

როდის გაჯანსაღდა სხეული?



## სულელი ბატონი და კალატოზები (ლატვიური ზღაპარი)

ერთ სოფელში სულელი ბატონი ცხოვრობდა.

— მოდი, წისქვილს ავაშენებო, — განიზრახა ბატონმა.

კალატოზები მუშაობას შეუდგნენ. მაგრამ დღისით რომ ამე-  
ნებდნენ, დამით ანგრევდნენ. ბოლოს მიუიღნენ ბატონთან და  
შესჩივდეს:

— კედელი იშლება, ბატონი, დუღაბში რძე და კვერცხი  
უნდა შეურიოთო.

ბატონი სოფელ-სოფელ დადიოდა და კვერცხებს უადგ-  
ლობდა, რძე კი საკუთარი მაშულიდან მოჰქონდა.

კალატოზებს აბა რა ეწისქვილებოდათ: ჭამდნენ კვერცხებს,  
სვამდნენ რძეს და სულელ ბატონზე იცინოდნენ.

რა განიზრახა სულელმა ბატონმა?

რა ოინს მიმართეს კალატოზებმა?

# მკვეთარა მამალი



— იცით, ქათმებო, რას  
                  გეტევით,  
მუტი რომ არ ვთქვა  
                  თავზედა,  
ჩემი ბადალი, მითხარით,  
ვინ არის ქვეუანაზედა?  
დავიარები ამაეად  
და შეივი მაღალხმიანი,  
შიშის ზარსა ვცემ ქვეუანას  
ვაჟებცი დეზებიანი!  
დამაშიცა ვარ, ბიბილო

მიმიგავს წითელ ლალებსა,  
კისერი კოხტად მიჭირავს  
და ვაბრიალებ თვალებსა!  
„უილიუოს“ დასამახებლად  
გულიც კი აუეუნცულდა,  
მაგრამ უეცრად პაწია  
კოშია გამოცუნცულდა.  
დაჲევდ, შეპრთა მამალი,  
როგორც პატარა მოშია  
და შერცხვენილმა რაინდმა  
მოკურცხდა საქათმეშია.

---

გამოცანა. თავს — ხერხი, ბოლოს — ნაძგალი.

წაიკითხეთ ის ადგილი, სადაც მამლის ტრაბახია  
გამოხატული.  
საიდან ჩანს, რომ მამალი მშიშარაა?  
აღწერეთ მამლის გარეგნობა ამ ლექსის მიხედვით.

# პატარა წრუწუხა

(იგავ-არაკი)

სოროდან ფრთხილად გამოცუცუნდა პატარა წრუწუხა. უნდოდა შეეტეო, რა ამბავია ქვეყანაზე, მაგრამ ცოტა სის შეძლებ გულგახეთქილი ისევ სოროში შევარდა.

— სად იქავი, რა ამბავია, რა დაგემართა? — პკითხა დედამ.

— სასეირნოდ ვიქავი.

— რამ შევაძინა?

— ორი მსეცი ვნახე ესოში. ერთი მალიან საშიში უნდა იქოს. თავზე სერხი ადგას, ფეხებზე დეზები. ასხია, თვალები დაბლერილი აქვს და ნისკარტი მოკაუჭებული. რომ შემომხედა, ცალი ფეხი შეიკეცა, პირი დააღო და ისე დაიკვირა, რომ კინალამ გული გამისკდა. შემემინდა და გამოფიქცი!

— ეგ ხომ მამალია, მჯიდო, მაგისი როგორ შეგემინდა? ის არავის აფნის, — უთხოა დედამ.



— მეორე კი ძალიან საუგარელი მხედრი უნდა იყოს! თავი მრგვალი აქვს და თვალები — დიდი, ტუჩებს აქეთ-იქით ლაშაზად გადაწეობილი ულფაშები უმშეგნებს, ტანი ბეწვით შემოსილი აქვს, ბეჭდი — გრძელი და ფაფუკი, ფეხები — ნაზი, თათებზე კი ჩვენსაცით შატარა ბრჭევალები აქვს. მზეზე იწვა, კოტრიალობდა, ხან წამოჯდებოდა და ენით თათებს ილოკვდა, ხან ისევ წამოწვებოდა. თვალებსაც ხან გაახელდა და ხან დახუჭავდა. რომ დამინახა, ჩემპენ გამოუქანა. მე შემტინდა და უცბდ გამოვიქმდი.

— უი, ჩემს თავსა! ეგ ხომ კატაა, შვილო! ბეწვზე გადარჩენილხარ! ერიდე, შვილო, მაგას, თორემ ვერ გადაურჩები მის კლანჭებსა და კბილებს!

რატომ არ მოეწონა წრუწუნას მამალი?

რატომ მოეწონა კატა?

რომელია წრუწუნას ნამდვილი მტერი?

წაიკითხეთ ის ადგილი, საღაც აღწერილია მამლის გარეგნობა, დაიწყეთ აქედან: „თავზე ხერხი ადგას“.





## შემოდგომის სურათი

დღემ იკლო, ღამე გადიდდა,  
გრილა, გაეცილდა ტქე-შელი,  
ჩაძოსდის ხეებს ფოთოლი,  
კვირის ბუ ღამის მთველი.

დამჯერ-გამხმარა ბალახი,  
ევავილიც არსად კრიალებს  
და სუნი შემოდგომისა  
მთასა და ბარში ტრიალებს.

თრთვილსა დებს დამ-დამობითა,  
ნისლი დაცურავს მთაშია,  
ბარში წყიმს, მთებში დათოვა,  
ცხევარ-მრიხსა ბეწვი აძლია.

სიტყვების ახსნა. ყვავილიც არსად კრიალებს — ყვა-  
ვილიც არსად ჩანს.

## მოსერხებული გლეხი

ერთ გლეხს ქურდმა ცხენი მოპარა, შეკრიჭა ფაფარი  
და ბაზარში წაივანა გასაუიდად. შემთხვევით ქურდს ცხენის  
შატრონი შეხვდა, იცნო თავისი ცხენი, თვალებზე ხელები  
ააფარა ცხენს და დაიძახა:

— ვისია ეს ცხენი?



— ჩემია, — მიუგო ქურდება.

— ააა, თუ მართლა შენია, თქვი, რომელი თვალით  
არის ბრძანება?

— მარცხენათი.

ჰატრონმა ხელი მოაშორა ცხენის მარცხენა თვალს, —  
თვალი სრულიად საღი იყო.

— ააა, შემეშალა, მარჯვენათი! — დაიბნა ქურდა.

მაშინ ჰატრონმა ცხენის მარჯვენა თვალს მოაშორა ხე-  
ლი და უკელამ დაინახა, რომ ცხენი არც ერთი თვალით არ  
იყო ბრძანება. ქურდი გაიძარა.

ანდაზა. ქურდს რომ კაცმა ყური დაუგდოს, დღეში თხუთ-  
მეტჯერ გამოტყდებაო.

რა ხერხს მიმართა გლეგხმა ქურდის გასამტყუნებლად?

## მეზობლები

ივანეს ცხენი მეზობლის სიძინდში გადავიდა. მეზობელი გაბრაზდა, დაიჭირა ცხენი და ივანეს ზარალი ერთი სამად გადაახდევინა.

გავიდა რამდენიმე ღღე. მეზობლის სბო ივანეს ბოსტან-ში შეიარა და მწვანილი გააოსრა. ივანემ დაიჭირა სბო, მიჰკვარა მეზობელს და უთხრა:

— აი, შენი სბო, ჩემი ბოსტანიდან მოგიუფანე! ჩაიბარე! მეზობლებს ჩხუბი და ჯიბრი არ შემვენითო!

შერცხა მეზობელს და უთხრა:

— ჩინებული კაცი უოფილხარ, ივანე! ინებე უპანვე მე-ნი ფული და კიცხსოვროთ მეგობრულად, როგორც კარგ მე-ზობლებს შემვენითო!

როგორ მოექცა მეზობელი ივანეს?

როდის შეეძლო ივანეს სამაგიერო გადაეხადა მეზობლისათვის?

როგორ მოექცა ივანე მეზობელს?

როგორ იმოქმედა მეზობელზე ივანეს საქციილმა?

მონახეთ და გადაიწერეთ მეზობლის პასუხი!

## გაძლი და შაქარა

მაღლა ფოთლებში ელვარებს  
 გაძლი სისხლიუით წითელი;  
 მას აქეთ-იქით აქანებს  
 სიო საამო და ნელი.

დიდი ხანია შესცეკრის  
 მაღლა ვაძლს ცელქი შაქარა,  
 ოჱ, ნეტავ ერთი მოსწერესო,  
 ამბობს თვის გულში ჩატანა.  
 თითქოს უსმინა ქარმათ,  
 ხე შეარხება გრიალით,  
 უნწყში მოწევიტა ნაუთყი,  
 ძირს მოდის ბზრიალ-ტრიალით.  
 უმაწვილმა ხელი დასტაცა,  
 ქარს მაღლი უძღვნა გულითა  
 და შინისაკენ მოკურცხელა  
 ადგსილმა სიხარულითა.




---

**ანდაზა.** სილს რომ პირი ჰქონდეს, თავისთავს თვითონ  
 შეჭამდათ.

რას ნატრობდა შაქარა?  
 რამ გაახარა ბავშვი?  
 შეადგინეთ მოთხრობა შემდეგი კითხვების მიხედვით:  
 რას ნატრობდა ბავშვი?  
 რატომ ვერ წყვეტდა ვაშლს შაქარა?  
 რატომ გადაუხადა ქარს მაღლობა შაქარამ?



## კურდღელი და ბაჭიები

ერთმა მელამ ბაჭიები  
მიიტეუა ჩუმად, ნელა  
და ის იქო მოქმედად  
ბაწიების შესაჭმელად,

რომ კურდღელი გახნდა უცემ,  
თავს დაეცა ქურდის კერას  
და შვილები გამოსტაცა  
უქნარას და გაიძვერას.

— ხომ უველანი ცოცხლები სართ? —

შეეკითხა დედა შვილებს.

— ო, რაძღვნჯერ გარიგებდით,

ო, რაძღვნჯერ გაგაურთხილეთ!

მტერს ნურას ღროს ნუ ენდობით,  
 ცბიერია, ყალბი, ფლიდი,  
 საჭიროა ქვეცრი ბრძოლა  
 და სიფხიზლე დიდი, დიდი!

სიტყვების ახსნა. ც ბ ი ე რ ი — ეშმაკი, გაიძვერა. ფ ლ ი დ ი — მა-  
 ტყუარა. ს ი ფ ხ ი ზ ლ ე — სიფრთხილე.

როგორ გადაარჩინა დედამ ბაჭიები სიკვდილს?  
 რას ამბობს დედა მტერზე? წაიკითხეთ აღგილი ლექსიდან.  
 რა არის საჭირო მტერზე გამარჯვებისათვის?

## კოჭლი კაცი

ქუჩაში მიდიოდა ჯაჭვის დაქრძნობილი კოჭლი კაცი.  
 უკან მისვევებოდნენ ბიჭები, დასცინოდნენ და აჯავრებდნენ.  
 კოჭლი კაცი ჩუმად მიდიოდა და აბეზარ ბიჭებს ხმას არ  
 სცემდა; ეტეობოდა, ბიჭების დაცინებ გულს უბლავდა.  
 ბიჭებს წინ შემოხვდა მოხუცი კაცი, შეაჩერა ისინი და  
 უთხრა:

— მოიცადეთ, ახალგაზრდებო, გინდათ, გიამბობთ ამ  
 კოჭლი კაცის ამბავს. მე მას ვიცნობ. ჩემი შეზობელია.

ბიჭებმა უური დაუგდეს მოხუცს.

— ეს კაცი ახალგაზრდობაში მაღიან ლამაზი და მამაცი  
 ვაჟაცი იურ. ერთ დღეს ჩვენს მესობლებ გაჩნდა დიდი სან-  
 მარი. ცეცხლმოკიდებულ სასილში დედას ჩაწია შეილი დარჩა.

საბორალო დედა უკიროდა, უკელის ემუდარებოდა, ოომ ბავ-  
შვი გადაერჩინათ. აი, ამ ქაცმა მიაუსდა კიბე სახლს და  
ცეცხლში შევარდა. ცოტა ხნის შემდეგ მესამე სართულიდან  
თოკმობმული კალათით ჩამოუშვა ბავშვი. თვითონ კიბით  
ჩამოდიოდა, მაგრამ უკვე ცეცხლი ეკიდებოდა კიბეს და კაცის  
სიმძიმეს ჰერარ გაუძლო. ჩაინგრა კიბე, ეს კაცი მაღლიდან  
ძირს გადმოვარდა და უესი მოიტეხა. მას შემდეგ ის კოჭლია.  
აი, მისი ამბავი. ახლა გაყვიდეთ და დასცინეთ კიდევ!

ბიჭები თაფხადუნული და ხმაგავმენდილი . იდგნენ. ზოგ  
მათგანს თვალებზე ცრემლიც კი მოადგა.

რა უამბო ბიჭებს მოხუცმა კოჭლი კაცის შესახებ?

რა გავლენა მოახდინა ნაამბობმა ბიჭებზე?

გადმოყენით ამ მოთხრობის მიხედვით: ბავშვი გადაარჩინა.

## ქეთოს მერცხალი



გაფრინდა ქეთოს მერცხალი,  
აღარ ჭიკჭიკებს ბანზედა,  
ქეთო მოწეუნით გამუშრებს,  
ცრემლი უბრწყინავს თვალზედა.  
და ასე ამბობს: — ნეტავი,  
მეც რად არა მაქვს ფრთებით,  
ოომ მისებრ გადავიქროლო  
ცად აბჯენილი მოებით.

სად გაფრინდა ქეთოს მერცხალი?  
რად მოიწყინა ქეთოშ? რა ინატრა მან?

# କୋଣାର୍କ



ଅନ୍ଧିଗର୍ଜତ କୁଳ କୃତତା.

## ფრინველების გადათრენა

შავრს შემოდგომის სიგრილეში დაჭრა. ფრინველებს მოუსვენონდა დაეტეროთ.

ისინი ხშირად თავს იურიან სეპზე და ჟივერიებენ. მალე თბილი ქვეწებისაკენ უნდა გაფრინდნენ. იქ მათ სამვები უხვად ეწეოდათ. აქ კი მწერები გაჭრა, ჭირნახული აიღეს. მაგრამ მერცხლები მიყრინავენ. მათ ბუღბული მიჰევება.

---

რად მიფრინავენ ფრინველები თბილ ქვეყნებში?

### სამი დათვი

(ზღაპარი)

ერთი გოგონა ტექში წავიდა. მას გზა აერია და ჩატარა სახლთან მივიდა. კარი დია იუო. შეისედა, სედაჭე, არავინ არის და შევიდა შიგ.

ამ ჩატარა სახლში სამი დათვი ცხოვრობდა.

ერთი დათვი მამა იუო — დიდი, ბანჯბეჭდიანი.

მეორე, უფრო ჩატარა, დედა დათვი იუო...

მესამე კი დათუნია იუო.

დათვები ტექში წასულიერენ სასეირნოდ.



შატარა სახლში იქნ თრი თოახი — სასადილო და საწოლი.

გოგონა შევიდა სასადილოში და დაინახა ფაფიანი სამი ჯამი. პირველი ჯამი, მალიან დიდი, მამა დათვისა იქნ; მეორე ჯამი, უფრო შატარა, ღერა დათვისა, მესამე ლურჯი ჯამი კი — დათუნისი.

უფელ ჯამთან იდო კოგზი: დიდი, სამუალო და შატარა.

გოგონამ აიღო უყელაზე დიდი კოგზი და ფაფა უყელაზე დიდი ჯამიდან მეტამა, მედეგ აიღო სამუალო კოგზი და ფაფა სამუალო ჯამიდან მეტამა; დათუნისა ფაფა უყელაზე მალიან მოეწონა.

გოგონას დაჯდომა მოუნდა. მაგიდასთან სამი სკამი იდგა: ერთი დიდი — მამა დათვისა, მეორე უფრო შატარა — ღერა დათვისა, სულ შატარა სკამი, ლურჯი ბალიშით, დათუნისი იქნ. გოგონა აცოცდა დიდ სკამზე და გაძმოვარდა, მეორე დაჯდა სამუალო სკამზე — კარგად ვერ მოეწოდ.

დაჯდა შატარს სკამზე და ისე კარგად მოეწეო, გაეცინა. ლურჯი კამი აიღო, მუხლებზე დაიდო და შეუდგა ჭამას. მოელი ფაფა რომ გაათავა, დაიწეო ქანაობა. სკამი ჩატედა და გოგონა იატაკზე დაეცა; წამოდგა, სკამი ჩაეწია და ახლა მეორე ოთახში შევიდა.

იქ სამი საწოლი იდგა: ერთი დიდი — მამისა, მეორე საშუალო — ღერისა, მესამე კი — დათუნიასი.

გოგონა დიდ ლოგინში ჩაწვა — მაღიან განიერი იუო. ჩაწვა საშუალოში — მაღიან მაღალი იუო.

ჩაწვა შატარძში — საწოლი მისთვის მშენიერი იუო და დაიძინა.

დათვები მოვიდნენ სახლში მშივრები და მოუნდათ სადილის ჭამა. დიდმა დათვმა აიღო თავისი ჯამი, შეხედა და ხმამაღლა დაიღრიალა:

— ვინ ჭამა ჩემი ჯამიდან?

ღედა დათვმა შეხედა თავის ჯამს და დაიღრიალა უფრო დაბალი ხმით:

— ვინ ჭამა ჩემი ჯამიდან?

დათუნიამ კი თავის ცარიელ ჯამს რომ შეხედა, წურილი ხმით დაიწრიპინა:


— ვინ შეჭამა ჩემი ფაფა?

დიდმა დათვმა შეხედა თავის სკამს და ხმამაღლა დაიღრიალა:

— ვინ იჯდა ჩემს სკამზე?

ღედა დათვმა შეხედა თავის სკამს და ხმამაღლა დაიღრია-

ლა:



— გინ იჯდა ჩემს სკამზე?

დათუნიამ შეხედა თავის გატეხილ სკამს და დაიწრიპინა:

— გინ იჯდა ჩემს სკამზე, გინ გატეხა იგი?

დათვები გავიდნენ ძეორე თაბაში.

— გინ იწვა ჩემს ლოგინზე?! — დაიღრიალა სმამაღლა დიდმა დათვება.

— გინ იწვა ჩემს ლოგინზე, გინ დათელა ის?! — დაიღრიალა უფრო დაბალი სმით დედა დათვება.

დათუნიამ კი გადახედა თავის საწოლს და დაიწრიპინა წერილი სმით:

— ეს გინ წევს ჩემს ლოგინში!?

გოგონამ გაასილა თვალები, დაინახა დათვები და ფანჯარას მივარდა. ფანჯარა ღია იქთ. გოგონა გადახტა და გაიქცა.

დათვები დაედევნენ, მაგრამ ვერ დაეწივნენ.

თქვენი სიტყვებით გადმოეცით — რა გადახდა თავს დაკარგულ გოგონას!



## ბეჭია და გლეხი

(ზღაპარი)

გლეხის საქათმეს მელიძ შექჩია და ქათმის სინსილა გაუწევიტა.

კროხელ, დილადრიან, კლები მიფიდა საქათმის დასათვალიარებლად და კარებში შედიას შექჩება. გლეხმა მელიას გუდი სტაცა ხელი, დაიჭირა და მოსაკლაბად პმტი ძალებისა.

— ნუ მოძკლავ, გამიშვი, — ევერებოდა მელია გლეხს, — და კრო ისეთ სასაცილო ამბავს გატევი, რომ არამარტო თუ შენ, მენს მამა-ჰანჩასაც არ გაეგონოს.

გლეხმა მელია გაუშებდ და უთხრა:

— აბა, შენ იცი, რა ამბავსაც მეტევია.

მელია განზე გადგა.

— ბეჭრი სამახსოვრო ამბავი ვიცი, მაგრამ ამაზე უკუ-  
 თეს რას გეტვი: მთელი წელიწადია, შენს საქაომეს ვანად-  
 გურებ, ერთხელ ხელში ძლივს ჩაგივარდი და ახლაც ცოცხა-  
 ლი გამიშვით,— თქვა მელიამ და ტესაკენ მოკურცხლა.

გამოცანა. ერთი რამა სულიერი მიწა-მიწა მძრომელია,  
 კარგი ვაჟიყაცისათვის თავსა წამომდგომელია;  
 სამჯერ გითხარ მის სახელი, აბა, მითხარ, რომე-  
 ლია?

როგორ მოატყუა მელიამ გლეხი?

## მარადმწვანე ხეები

როცა შემოდგომა მიიწურა, ფრთინველები თბილი ქვეუწი-  
 საკენ გაემგზავრნენ.

ერთმა შოშიამ ფრთა მოიტეხა და ამხანაგებს ვეღარ გა-  
 ჰქვა. ფრთამოტებილი შოშია მიფრინდა მუსასთან და სოხოვა:

— ძლიერო მუხავ! ფრთა მოვიტეხა, ჩემს ამხანაგებს თბილ  
 ქვეუანაში ვერ გავევვი. ნება მომეცი, ზამთარი შენს ტოტებ-  
 ში გავატარო!

— სიამოვნებით,— მიუგო მუხამ, — მაგრამ ზამთარში  
 მე კტიტვდღები და ჩემი ტოტები ბინად არ გამოგადგება.

დადონებულმა ჩიტუნამ ცაცხვისაკენ გასწია. ცაცხვმა ფოთ-  
 ლები ააშრიალა და გადმოსმახა:



— Եյց զատլյած մալոյ համոմցոյց և Նօբույսացին զեր  
քէց այցարուց:

Տածրալու մռմուս մալուսն քաջոնքն:

— Առաջ իշխան, հովհան, — աղյուսուտ համոսմաս համց-  
մա, — իշմե ըստյածի զամարյ կամտարու:

— Եյց զամցյալու, — քածոմյած զայուս ծովիմա. — Իշմե ես-  
յոցի կամտարու և սանրգութ մռացից ինյոյնմա ուշուն, և ս  
պահույլուս իշմու կոլու.

Մալոյ ցրամա վարմա քայծյուրա. Մյենուս և քացիցուս զատլյա-  
ծու վարս չյետ-ոյւտ զաշյանքնա, եմցու զա մոյլ կամտարու  
միշանց մռեսնած. ՛Հայուս մռմուս սանրգութ չից գուծած.

---

Համում զեր զամպա Շո՛մուս ամեանացյածս?

Համ Շյոյցարս Շո՛մուս կամտար՛մու?

Հա անցածու մաս սանրգուս?

Կուզա Հա Ռո՛վուանու մպենարյ ուշուտ?

## ծյանիկ ծյանի

ցոշը մաղամաս լվացել է եռալու, Ծյոթուղթուղթու. ոյ համեմ մռայլու տքալու, ագար արու մռայլունցին:

— ծյանի, մռայլ զամլու! ծյանի զամլու մոնճա!

— ծյանի, մռայլ տեսուղու! ծյանի, ծյանի տեսուղու! ծյանի յանուցիւ...

յուրաքանչ ծյանի պատճեն ցոշը:

— ցոշը, առ մռայլունի, մազուտանա տցալսեարծու ռում նար. և ամեազա, կյալ ծյանի դա ծյանի զամանա. առ զնանութ: Իս ցանքին ծյանի!

— տազու յուրա!

— ցնցուրու — յուրա!

— նուրու — յուրա!

— թյունու — յուրա!

— տաճունու — ռուրա!

— կյալու — ռուրա!

— ոյնու — ռուրա!

ցոշը հայուշեցնեալու պահնդա.

— ծյանի, մյին քաջազնինքա, ռում տմա մայքին ծյանիկ ծյանի ծյանի! — յուրաքանչ ցոշը.

ծյանի ցայցունա դա ծյանի տեսուղու մուսցա.



## ბავშვების სიხარული


ნეტრობდით და აგისრულდათ  
 ცელქებს გულის საწადელი,  
 გაიხედეთ, თოვლის ფიფქებს  
 დაუფარავს მთა და ველი!...

ასე უთხრა დედამ შვილებს:  
 ზაფლებს, ზურაბს, ნინიასა,  
 წამოვკივრნენ ქრიამულით,  
 დაუძახეს ფინიასა.

— თოვლი, ბიჭო, ბიჭო, თოვლი! —  
 სიხარულით იძახიან,  
 არ დასდევენ მსესხავ უინგას,  
 იცინიან, მარდად ხტიან.

---

რა ახარა დედამ ბავშვებს?  
 როგორ მოიქცნენ ბავშვები?



## ჰირველი თოვლი

— აგისრულდა ნატვრა, თოვლი მოსულა! — მახარა მამა-ჩემმა დილაადრიანად და ბუხარში შეხვეულ ცეცხლს გაღვი-ვება დაუწყო.

მაშინვე ზეზე წამოვიკერი, საჩქაროდ ჩავიცვი და ეზოში გამოვვარდი. რა კარგი სანახავი იყო არემარქ! ბალებში ხეებს თოვლის ქულები დასდებოდა, ტყეს თეთრი თექა წამოესხა, მინდორს სპეტაკი ხალიჩა გადაჰუნოდა.

უცებ ზურგში თოვლის გუნდა დამახალეს. ამხანაგები წამომპაროდნენ. უკნიდან. მეც წავწვდი თოვლს. გაჩალდა ბრძოლა.

ბრძოლა კიდევ დიდხანს გასტანდა, რომ ჩემს გვერდით ციგას არ ჩამოესრიალა. ციგაზე ჩემი ბიძაშვილი გამოჭიმუ-ლიყო.



— ციგაობა, ციგაობა! — დავიყვირეთ ყველამ და უკან გა-  
 მოვუდექით.

მალე ჩვენც ციგებზე გამოვიჭიმეთ.

სიტყვების ახსნა. ქულა — გაპენტილი ბამბის ფენა, დამზადებული დასართვე-

ლად. აქ — თოვლის ფენა.

თექა — ნაბადი.

რა ახარა მამამ ბავშვებს?

როგორ ერთობოდნენ ბავშვები?

წაიკითხეთ ის ადგილი, საზაც აღწერილია ზამთრის ბუნება.

რასთან არის შედარებული ხეებზე დადებული თოვლი?

რასთან არის შედარებული მინდორზე დადებული თოვლი?

## დაგვიზამთრდა, დაგვიზამთრდა!

შეხე პეპლებს, ფრთათეთრ პეპლებს,—

ხეებს ირგვლივ ევლებიან;

ეს თოვლია, თოვლი მოდის,

განა მართლა პეპლებია!

ეს ზამთარი მობრძანდება,

თეთრწვერა და თმაჭალარა,

გუნდამ, ციგამ, თოვლის კაცმა —

ყველამ ერთად გაგვახარა!

## დიტოს თოვლის ჰაპა

ზამთარია. დიდი თოვლი მოვიდა. ეზო, ქუჩა, სახლები  
 სულ გადათეთრდა. პატარა დიტოს ძალიან უხარია. მას უყ-  
 ვარს თოვლი. შუა ეზოში დგას, ხელში პატარა ნიჩაბი უჭი-  
 რავს და თოვლს აგროვებს. უნდა, თოვლის პაპა გააკეთოს.



გააკეთა კიდეც: თვალების აღგილას პაწია ნახშირები ჩა-  
უსვა, ნახშირის ნამცეცებით წარბები და წვერ-ულვაში გაუ-  
კეთა, თავზე ქუდი დაახურა და ხელში ჯოხი მისცა.

დიტოს ძალიან მოსწონდა თავისი თოვლის პაპა.

რა გააკეთა დიტომზ?  
აღწერეთ დიტოს თოვლის პაპა.

## ნაძვის ხე

კოხტად მორთული ნაძვის ხე  
ცეცხლის ბურთივით კრიალებს,  
აქეთ მზის თვალი გამოკრთის,  
იქით ვარსკვლავი ბრჭყვიალებს.

შემოხვევიან ცელქები  
ყიფინით, ქრიამულითა  
და გარს უვლიან ნაძვის ხეს  
სიცილით, სიხარულითა.

## ეზოს მშეენება

ერთხელ ვაკას მამამ სულ პაწაწინა ნაძვი მოიტანა და ეზოში სახლის წინ დარგო.

ვაკა და ეზოს ახალი ბინადარი ზრდაში ერთმანეთს ეჯიბ-რებოდნენ. ნაძვმა აჯობა: უფრო სწრაფად იზრდებოდა.

ერთ გვალვიან ზაფხულში ვაკამ ნაძვის ხეს მოწყენა შეატყო, წიწვები თითქოს დასწვრილებოდა.

— ჩემო კარგო ნაძვო, ეს რა მოგსვლია? — უთხრა ვაკამ.

სიცხით შეწუხებულ ხეს ჯერ მიწა შემოუბარა, შემდეგ კი წყალი დაუსხა. ნაძვი მაღვე გამოცოცხლდა.

ამის შემდეგ წყალს აღარასოდეს აკლებდა ბიჭი.

ერთ დღეს, ზამთარში, ვაკამ დაუწყო გაქოხტავება თავის ნაძვის ხეს, თუმცა სილამაზე მას ისედაც არ აკლდა. ტოტზე სათამაშო ციყვი დაუბრძანა. ხატულა ჩიტებიც დასხა. ირგვლივ ფერადი ქაღალდის ჯაჭვები და ბრჭყვიალა სათამაშოები შემოავლო, მანათობლად პატარა ელნათურები დაჰკიდა.

ასე მორთულ-მოკაზმულს თეთრ ქურქში გამოწყობილი თოვლის პაპა დაუყენა მცველად.

ახალი წელი გათენდა. ლოკებაწითლებული ვაკა და მისი ამხანაგები ტრიალებდნენ ცოცხალი ნაძვის ხის ირგვლივ და თან ერთმანეთს ახალ წელს ულოცავდნენ.

როგორ უვლიდა პატარა ნაძვის ხეს ვაკა?

საახალწლოდ როგორ მორთო მან ცოცხალი ნაძვის ხე?

## ჩვენს კოპტია ნაძვის ხეზე




ჩვენს კოპტია ნაძვის ხეზე  
ვერცხლი ელავს, ოქრო ბზინავს,  
სახალწლოდ თოვლის პაპამ  
ყელი ჩაგვიკოკლოზინა.

გვამდერა და გვათამაშა,  
იცინა და ჩვენც გვაცინა,  
როცა ზღაპარს გვიყვებოდა,  
ყველას ტკბილად ჩაგვეძინა.

ახლა თოვლში ვკოტრიალობთ,  
დავსრიალებთ ქარზე სწრაფად,  
ულვაშებში ეღიმება  
გახარებულ თოვლის პაპას.

---

სიტყვის ახსნა. ჩაგვიკოკლოზინა — ჩაგვიგემრიელა.



## გადაარჩინეს

(ხალხური)

მელია გამალებული გარბოდა. უკან მონადირეები მის-  
დევდნენ. გულგახეთქილი მელია სოროში შეძრა. როცა სუ-  
ლი მოითქვა, თვალებს შეეკითხა:

— თვალებო, ჩემო თვალებო! რას აკეთებდით, მე რომ  
მტერი მოსაკლავად მომდევდა?

— ჩვენ გაფაციცებით აქეთ-იქით ვიცირებოდით.

— ფეხებო, ფეხებო! თქვენ რაღას აკეთებდით?

— ჩვენ რაც ძალი და ღონე გვქონდა, მოგარენინებდით.

— ჩემო მახვილო ყურებო! თქვენ როგორლა დამეხმა-  
რეთ?

— ჩვენ სმენად ვიყავით გადაქცეულნი, რომ გაგვეგო,  
რომელი მხრიდან გვეპარებოდა მტერი.

— შენ, ჩემო მშვენიერო! შენ კი არათრით დამე-  
ხმარე?

— როგორ არა! მე შენს ნაფეხურებს ვსპობდი, რომ  
მტერს შენი კვალისათვის არ მოეგნო.

— ასე, ასე, გენაცვალეთ! სანადიროდ ყოველთვის თქვენი  
იმედით მივდივარ,— თქვა მელიამ და სოროში მოიკალათა.



## აქალი უბანი

ზაზას მშობლებმა დიღმის მასივში, რვასართულიან სახლში მიიღეს ბინა. აღრე ზაზა ძველ თბილისში ცხოვრობდა. ნარიყალას ფერდობზე ძველი პატარა სახლები რომ შეფენილან, ერთ-ერთი გათვანი ზაზასი იყო.

ახალი ბინით გახარებულმა ზაზამ ხან საწოლ ოთახში შეიხედა, ხან სამზარეულოსა, და სააბაზანოში შეირბინა. ბოლოს ძალიან დაიღალა და ტკბილად ჩაეძინა.

დიღმით მზემ პირდაპირ ზაზას ოთახში შეიჭყიტა.

— დედა! — იყვირა ახალგალვიძებულმა ზაზამ.

— რაო, ზაზა?

— დედიკო, თბილისში როდის წავალთ?

— შვილო, თბილისში არა ვართ, სადღა უნდა წავიდეთ?

— ბებოსთან, თბილისში.

— ზაზა, ჩვენ ახლა თბილისის ახალ უბანში ვიცხოვრებთ. შეხედე, აქ სულ ახალი მრავალსართულიანი სახლებია, ფართო ქუჩები, დიდი ეზოები.

- ბებო რატომ არ გადმოვიდა ჩვენთან?
- ბებომ თავისი ცხოვრება იქ გაატარა. იქაურობა ისე უყვარს, რომ ვერ შეელია.
- საბავშვო ბალში ისევ იქ უნდა ვიარო?
- არა, გენაცვალე, ახალ უბანში სკოლაც ახალი ააშენეს და საბავშვო ბალიც. აი, იქ უნდა იარო! — უთხრა დედამ და ხელი ორსართულიანი შენობისაკენ გაიშვირა.

სად მისცეს ბინა ზაზას მშობლებს?  
 რა უთხრა დედამ?

## მეფე და მხატვარი

(იგავ-არაკი)

იყო ერთი ცალთვალა მეფე. ჰყავდა ერთი ხელოვანი მხატვარი. მეფე ეძებდა მიზეზს, რათა მხატვარი დაესაჯა. უბრძანა: — დამხატეო!

მხატვარმა თავის გულში თქვა:

— ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე: ბრძა რომ დავხატო, მომქლავს — როგორ მაյადრეო; ორთვალა რომ დავხატო, მომქლავს — როდის არის ჩემი მსგავსიო!

ბევრი ფიქრის შემდეგ ეს ხერხი მოიგონა: დახატა ირემი, მეფეს ხელში თოფი მისცა, ბრძა თვალი დაუხუჭა და სალი თვალით ირემი მიზანში ამოაღებინა. მხატვარმა ეს სურათი მეფეს მიართვა. მეფემ მიზეზი ვეღარ უპოვა და მხატვარი სიკვდილს გადარჩა.

**ანდაზა.** ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

---

როგორ გადაიწინა თავი მხატვარმა?  
 დაწერეთ შინაარსი.

## ლომი და თაგვი

ტყეში შძინარე ლომს თაგვმა ტანზე გადაურბინა. ლომმა გამოიღვიძა და დაიჭირა თაგვი. თაგვმა უთხრა: — გამიშვი და გაჭირვებაში დაგეხმარებიო. ლომმა გულიანად გაიცინა და გაუშვა თაგვი.

გავიდა ხანი. მონადირეებმა ლომი დაიჭირეს და თოკით ხეზე მიაბეს; უნდოდათ, მერე მისულიყვნენ და ცოცხალი წა-ეყვანათ. მონადირეები რომ წავიდნენ, ლომმა საშინელი ღრიალი მორთო. თაგვს შემოესმა ლომის ხმა, მიცუცუნდა, გადაღრუნა თოკი, გაათავისუფლა ლომი და უთხრა: — გახსოვს, რომ დამცინე? ახლა ხომ ხედავ, რომ პატარა თაგვსაც შესძლებია დახმარება დიდი და ძლიერი ლომისაო.

რატომ გაეცინა ლომს თაგვის სიტყვებზე?

რა გასაჭირში ჩავარდა ერთხელ ლომი?

როგორ იხსნა ლომი თაგვმა გაჭირვებისაგან?

რა უთხრა თაგვმა ლომს?

მეოთხე კითხვაზე წერილობით გაეცით პასუხი.

## კურდღლის სიზმარი

(ხალხური)

კურდღლელმა თქვა: — ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო; გავიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო; წინ მეძებრები მოუდის, დაგვშილი ჩემზედაო; დამისიეს, გამომიდგნენ, გავექეცი განზედაო;

აღმართშია მე ვაჯობე, იმათ თავდაღმართზედაო;

ერთმა წუწემა მეძებარმა კბილი გამკრა გვერდზედაო;

გამწიეს და გამომწიეს, ჩამომქიდეს ცხენზედაო,

მზარეულებს მიმაბარეს, — კარგად შეწვით ცეცხლზედაო!

ცრლი გვერდი ცეცხლზე იწვის, ცალი ერბოს ალზედაო.  
უყურეთ ამ მსუნავებსა, რა ყოფა აქვთ ჩემზედაო?!  
ამარიგეს, ჩამარიგეს წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო,  
ხორცი ხორცად შემიჭამეს, ძვლებს იმტვრევდნენ ცერზედაო.

## ხუთი გოჭის ამბავი

(ზღაპარი)

იყო ერთი ლორი, ჰყავდა ხუთი გოჭი: მშიანა, მცივანა,  
თბილანა, გვიანა და მაგარა.

დილით ადრე დედა ლორი გამოვიდოდა თუ არა სალო-  
რიდან, ლრუტუნით სანხვისაკენ გასწევდა. დინგით თხრიდა  
ნეხვს, კამდა მატლებს, ბალახს, ფოთლებს, პურის ნატეხებს,  
ერთი სიტყვით, ყველაფერს. მინდვრის თავვებსაც ცუდ დღეს  
აყენებდა. მიაგნებდა მათ ხოროებს, თავისი დინგით მიანგრ-  
მოანგრევდა.

ხანდახან ტყეშიც გაისეიირნებდა ხოლმე და თავის საყვარელ  
რკოს სიამოვნებით შეექცეოდა. არც დამპალ და ჭიან ხილს  
იწუნებდა.

ერთხელ ლორი მიწას ჩიჩქნიდა, თავის სორო იპოვა  
თავთავებით გაქედილი. ლორი სათითაოდ იღებდა გემრიელი  
ხორბლის თავთავს და მაღიანად აქნატუნებდა. ამ დროს თავს  
წაადგა მშიერი მგელი, ბრიალა თვალებით და კაწკაწა კბილე-  
ბით.

—გამარჯობა, ლორო!—დაიყმუვლა მგელმა. ლორი ამ ხმის  
გაგონებაზე შეკრთა, ჯავარი ყალყზე დაუდგა.

—რას აკეთებ, ლორო, რას ჩიჩქნი მიწას, რას ეძებ?—შეე-  
კითხა მგელი.

—რას ვაკეთებ და აი, აქ თავვის სორო ვიპოვვე, სულ თავ-  
თავებით არის გატენილი, მსუნავ თავეს ჩაუზიდას ზამთრის  
საზრდოდ. ახლა მე მივაგენი და იმას გეახლებით. თუ მიირთმევთ,  
კარგ მსუქან თავთავს მოგართმევთ.

— რაო? — დაიღრიალა მგელმა. — გინდა ფხა ყელში გა-  
მეჩხიროს და დავიხრი? მე გაუურებინებ შენ სეირს! ვინ  
მოგცა ნება, რომ საწყალ თაგვს ერთი სორო თავთავი ძლივს  
მოუგროვებია, შენ კი დასდგომიხარ და ჭამ? ისინი შიმში-  
ლით უნდა დაიხოცონ, შენ კი შვილები დაასუქო და მუ-  
ცელი გამოიძლო? ამისათვის უნდა შეგქამო, შე ღორმულე-  
ლავ, შენა! — ღრიალებდა მგელი.

ღორი მიხვდა, რომ მისი საქმე ცუდად იყო, თუ რამეს  
არ მოახერხებდა. ამიტომ თავი მოისაწყლა და მგელს უპასუ-  
ხა: — თქვენი ნებაა, რასაც მიზამთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ,  
რომ მე ძალიან დიდი ხნისა გახლავარ, კბილები გამიქვავდა  
და ტყავი გამიმაგრდა, სიმსუქნე. რაც მქონდა, სულ ჩემმა ხუთ-  
მა გოჭმა გამომწოვა. მე რა გემო უნდა ჩამატანოთ? წამობრ-  
ძანდით ჩემთან. ხუთი გოჭი მყავს: ერთსა ჰქვიან მშიანა, მეო-  
რეს — მცივანა, მესამეს — თბილანა, მეოთხეს — გვიანა, მეხუთეს —  
მაგარა. ხუთივე ისეთი მსუქანია, რომ სულ ქონი გასდით.  
მობრძანდით, რომელიც მოგეწონოთ ის წაიყვანეთ!

მგელი ძალიან დააფიქრა ხუთი გოჭის ხენებამ, სად გო-  
ჭების ხორცი და სად — ბებერი ღორისა!

— მაშ, კარგი, — შეპყმუვლა მგელმა. — ახლა შენ წინ წადი  
და მეც მოვალ. იცოდე, თუ მომატყუე, ცუდად იქნება შენი  
საქმე!

ღორი დაბრუნდა შვილებთან, უამბო მათ, რაც გადახ-  
და და დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მგელი რომ  
მოვიდოდა.

მაგრად დაკეტა ღორმა კარი. კარგად რომ ჩამონედლ-  
და, მოვიდა მგელი და სალორის კარზე დააკაკუნა.


— ვინა ხარ? — იკითხა ღორმა, ვითომ აქ არაფერიაო. —  
რაღა დროს სტუმრობაა.

— მე ვარ, ღორო, კარი გააღე! — შეპყმუვლა მგელმა.

— კარს არ გაგიღებ, დაიკარგე მანდედან! — გასძახა ღორმა.

რაკი ღორმა ასეთი პასუხი მისკა, ახლა მშიანას დაუძახა:

— მშიანა, კარი გამიღ!



— ჯერ მშია, ძუძუს  
ვწოვ. შენთვის არა მცალია!  
— გასძახა მშიანამ.  
— მცივანა, კარი გამიღე!  
— შესძახა მგელმა ახლა მცი-  
ვანას.  
— მცივა, — უბასუხა მცი-  
ვანამ, — კარის გასალებად  
არა მცალია.  
— თბილანა, კარი გამი-  
ღე!

— შეჰყმულა მგელმა თბილანას.  
— შენ საქმე გამოგლევია, ძლივს თბილად ჩავწექი და  
შენი გულისათვის ახლა გვერდებს გავიცივებ! — გასძახა თბი-  
ლანამ.  
— გვიანა, კარი გამიღე! — შესძახა მგელმა ახლა გვიანას.  
— გვიან გელირსება კარის გალება, დაიკარგე მანდედან! —  
გამოსკუვიტინა გვიანამ.  
რაკი კარი არავინ გაუღო, მგელი საშინლად გაბრაზდა,  
მაგრამ მაინც კიდევ სცადა:  
— მაგარა, კარი გამიღე!  
— მაგრადაა დაკეტილი, არ გაიღება, — გამოსძახა მაგა-  
რამ, — სჯობია, საიდანაც მოსულხარ, იქვე მიბრძანდე! ვინ  
იქნება სულელი, რომ შენ კარი გაგიღოს! გასწი, დაიკარგე  
მანდედან!  
საშინლად გაბრაზდა მგელი.  
— დაიცათ, თუ სულ არ გადაგულაპოთ! კარი გამიღეთ  
ჩქარა! — ყმულდა მგელი, მაგრამ კარს არავინ უღებდა.  
მაშინ მგელმა სცადა, თვითონ გაეღო კარი, მაგრამ ძა-  
ლიან მაგრად იყო დაკეტილი.

მეტი ღონე არ იყო, ისევ  
ცარიელი მუცლით უნდა წა-  
სულიყო თავისი ბუნაგისაკენ.

რა პასუხი გასცა მგელს ლორმა? მში-  
ანამ? მციუანამ? თბილანამ? გვიანამ? მაგა-  
რამ?



## ჩიტი და ბავშვები

ბავშვები

გაბმულხარ, ჩიტო, მახეში? გაჩერდი, ნულარ ფრთხიალობ!  
ჩვენი ხარ, ვერსად წაგვიხვალ, დაგვიმორჩილდი, რას წვალობ?

ჩიტი

ნეტავი რისთვის გინდივართ, ბავშვებო, გენაცვალებით?  
გამიშვით, ჩემთვის გავფრინდე,  
რას გამომრჩებით წვალებით?

ბავშვები

ვერ შეგელევით, მალხაზო,  
აგაცდენთ ყოველ გასაჭირს,  
სულ შაქრით ჩაგიტქბარუნებთ  
მაგ პაწაწინა ყელს და პირს!



## ჩიტი

რად მინდა თქვენი შაქარი? არ მიყვარს, ჩემთვის მწარეა,  
 მინდორში ვიჭერ ბუზ-პეპლებს, სხვაც ბევრი საკენკარია.

## ბავშვები

ტრიალს მინდორში, საწყალო, გაგუინავს ცივი ზამთარი,  
 და აქ კი ოქროს გალია შენთვის ახლავე მზად არი!

## ჩიტი

ნუ შიშობთ! გადავფრინდები საზამთროდ თბილსა მხარესა,  
 ტყვეობაში კი სამოთხეც არ მინდა გულმწუხარესა!

## ბავშვები

ოჟ, რომ იცოდე, ჩიტუნავ, რარიგად შეგიყვარებდით!  
 არ მოგაწყენდით, გეთაყვა, ნიავს არ მოგაკარებდით!

## ჩიტი

ეგ, მეგობრებო, მეც მჯერა, მეფერვით, უეჭველია,  
 მაგრამ ეგ თქვენი ალერსი, რა ვქნა, რომ მავნებელია!  
 გალია ჩემთვის ციხეა, ეს, ბავშვნო, ნუ გავიწყდებათ!  
 ტყვედ ყოფნა მაწყენს, ფეხს გავფშეკ და თქვენვე გული  
 დაგწყდებათ.

გაუშვეს, უთხრეს: — ჩიტუნა, აწ მოგემართოს ხელიო,  
 გაფრინდი, გადაიარე ქიკერიკით მთა და ველიო!

---

გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ.

## სპილოს შერისძიება

იყო ერთი თერდი. ის მუდამ იმ ფანჯარასთან კერავდა, რომ მელიც ქუჩაში გადიოდა. ამ ქუჩაზე ხშირად დაღიოდა ერთი სპილო. თერდი სპილოს ხან ვაშლით, ხან ბოლოკით, ხან კარტოფილით უმასპინძლდებოდა. ჰკვიანი ცხოველი თავაზიანად გაუწვდიდა ხოლმე ხორთუშს და საჩუქარს ჩამოართმევდა.

ერთხელ თერდი დილიდანვე უგუნებოდ იყო. ბრაზმორეული იჯდა ფანჯარასთან და კერავდა. გამოიარა სპილომ და ფანჯარასთან შეჩერდა.

გაჯავრებულმა თერდმა ხორთუშში ნემსი უჩხვლიტა.

— დაიკარგე აქედან, შენს ხსიათზე არა ვარ! — მიაძახა მან სპილოს. სპილო წავიდა.

ორი საათის შემდევ თერდმა დაინახა, რომ სპილო უკანვე მოდიოდა. ტალახიანი წყალი ხორთუშში დაეგუბებინა, მივიდა თერდთან და მოულოდნელად ცხვირ-პირში შეასხა.

თერძს თავიდან ფეხებამდე წურწურით ჩამოსდიოდა ჭუჭყიანი წყალი, სპილო კი დინჯად და არხეინად განაგრძობდა გზას.



როგორ უმასპინძლდებოდა თერდი სპილოს?

რა ქნა ერთხელ თერდმა?

როგორ იძია შური სპილომ?

რა წაგიქითხავთ სპილოს შესახებ?



## სამგორი

ეზოში, კაკლის ძირში, ბავშვები შევროვილიყვნენ. ყველა დათოს შესცემროდა. გოორგი პაპა იქ იყო.

— დაიწყე, დაიწყე! — გაიძახოდნენ ბავშვები.

— გასულ კვირას მამამ სამგორის სანახავად წამიყვანა, — დაიწყო დათომ. — ჩვენთან ერთად მანქანაში მამის მეგობარი ინჟინერი ძია შალვაც იყო. ძია შალვა სამგორში მუშაობს.

— აქ დიდი წყალსაცავია, რომელსაც „თბილისის ზღვა“ ეწოდება, — გვიხსნიდა ძია შალვა, — ამ ზღვაში არხით ჩადის ივრის წყალი. შიგ ნავები დადის. ორ წელიწადს იდინა იორ-მა არხში; „ზღვა“ გაიცსო, „ზღვის“ გარშემო კი ბალები გაშენდა.

— ამას რას მოვესწარი! — წამოიძახა გიორგი პაპამ.

— ეს „ზღვა“ ნაპირზე ხომ არ გადმოვა? — იქითხა მერაბმა.

— არა, ამ „ზღვიდან“ არხებია გაყვანილი. ამ არხებით ირ-წყვება ვეებერთელა ველები. უკვე მშვენიერ ბალნარად გადა-იქცა სამგორი, — დაამთავრა თხრობა დათომ. ბავშვები აღტა-ცებით უსმენდნენ.

რა უიმბო ამხანგებს დათომ?

„თბილისის ზღვიდან“ რა არის გაყვანილი?

## წერილი ბებიას

ბები, ჩემო ტკბილო ბები,  
აგრემც გენაცვლები,  
ვინდლო მალე გამოგზავნო  
თეთრი ჩურჩხელები!

არც სხვა ხილი დაივიწყო:  
კოში, ვაშლი, მსხლები,  
ჩამიჩი და ლელვის ჩირი,  
თხილი და კაკლები!



## გარეული ტახი და მელა

(იგავ-არაკი)

დგას ხის ძირში ტახი და კბილებს ილესავს. თავს მელა  
წაადგა, ჰქითხა:— რას იბასრავ მაგ კბილებს? მტერი ხომ არ-  
საიდან ჩანს?

— სჯობს, მუდამ მზად იყო,  
თორემ, მტერი რომ კარს მო-  
გადგება, გვიანდა იქნება!  
— მიუგო ტახმა.




---

რას შერებოდა ტახი?  
რისთვის ილესავდა კბილებს?

## მელია



აღგა, ამხედრდა მელია,  
ულვაშს გადისო ხელია,  
კუდზე ეჯვანი შეიბა,  
ხმლით დაიმშვენა წელია,  
თოფი გაიდო მხარზედა,  
ჩამოიგარცხნა წვერია,  
შეკაზმა თავისი რაში,  
თავისი ლურჯა ცხენია;  
ვაი, ქათმებს და თაგვებსა,  
დღე დაადგებათ ცხელია!  
დასტოვა მელამ სრასახლი —  
ხევის პირს ერთი ხერელია;  
ნეტავ სად მიღის მელია,  
თუ ჰქვა არ გამოლევია?  
იქ მეწისქვილეს ჰგებოდა  
რკინის ხაფანგი ძველია,  
იმ მეწისქვილის ხაფანგსა  
ეს გმირი დაუჭერია.

ხიტყვების ახხნა. გ ა დ ი ს ო — გადაისვა.  
ს რ ა ს ა ხ ლ ი — სასახლე.  
ჰ გ ე ბ ო დ ა — დაგებული ჰქონდა.

## მაცდური მელია და მგელი

(იგავ-არაკი)

მელიამ დაინახა ხაფანგი, რომელშიც ყველი იყო. მოინ-  
დომა ყველის გამოლება, მაგრამ თავის შეყოფის შეეშინდა.  
მიიხედ-მოიხედა და მგელი დაინახა.

— ნათლია ჩემო, — დაუძახა მელიამ მგელს, — აქ მოდი,

შენთვის ყველი მაქვს შენახული!  
მსუნავმა მგელმა მიირბინა მე-  
ლიასთან.



— სად არის? — ჰქითხა მგელმა:  
მელიამ ხაფანგთან მიიყვანა.  
მგელმა რომ ყველს შეხედა,  
სულმა წასძლია, ხაფანგი ვერ  
შეამჩნია და ეცა.

თქვენს მტერს, იმას რომ დღე დაადგა: ტკაც: — გაისმა და  
მგელი ხაფანგში გაება. მელიამ გამოათრია ყველი და გემრიე-  
ლად მიირთვა.

— ვაი, ვაი, ვაი! მიშველე, მელიავ! — დაიღრიალა მგელმა.  
— ვაის მაშინ ნახავ, როცა პატრონი მოვა! — ნიშნის მოგე-  
ბით უთხრა მელიამ და გაშორდა.

რამ შეაცდინა მგელი?  
დაწერეთ ამ კითხვის პასუხი.

## მალა ერთობაშია

(იგავ-არაკი)

იყო ერთი კაცი; ჰყავდა ათი ვაჟი. როდესაც სიკვდილის  
მოახლოება იგრძნო, მოუხმო შვილებს, მოატანინა ისრები და  
მაგრად შეაკვრევინა კონად. მერე უთხრა: ეს კონა გადატეხეთო!  
შვილებმა ვერ გადატეხეს.

შემდეგ დააშლევინა ისრების კონა და სოხოვა, ისრები  
სათითაოდ დაემტვრიათ. ვაჟებმა ადვილად გადატეხეს ისრები.

მაშინ მამამ უთხრა: წელან ისრების კონა ვერ გადატეხეთ,  
სათითაოდ კი ადვილად დაამტვრიეთ. ასე დაგემართებათ ცხოვ-



რებაშიც. თუ მეგობრულად იცხოვრებთ, მტერი ვერა-  
ფერს დაგაკლებთ, ცალ-ცალკე კი აღვილად გძლევთო!

---

რატომ ვერ გადატეხს ვაჟებმა ისრების ქონა?  
რა დარიგება მისცა მამამ შეილებს?

## სიმღერა საბჭოთა არმიაზე

(ნაწყვეტი)

შრომისათვის, სწავლისათვის  
სამშობლოში გვიდგას დარი,  
ჩვენ გუშაგად არმია გვყავს—  
გმირი ხალხის გმირი ჯარი.  
ყველას მკერდი შეულეწა,  
ვინც კი სამტროდ ფეხი დაძრა,  
არ დაინდობს, თუ კვლავ ვინმე  
გააჩალებს ომის ხანძარს.

---

ვისგან იცავს ჩვენს სამშობლოს საბჭოთა არმია?

## ჩემი მძა

გელა ჩემი უფროსი ძმაა. იგი არქიტექტორია. მე კი წელს  
 პირველად წავედი სკოლაში.

გელა ძალიან ბევრს მუშაობს. დედამ თქვა: ზოგჯერ მთელ  
 ღამეს არ იძინებსო.

გელა თავის ოთახში არავის უშვებს, მხოლოდ მე არ  
 მიწყრება, როცა კარს შევაღებ ხოლმე:

— შემოდი, ხათუნა, შემოდი!

მეც შევდივარ. გელა ქალალდზე პატარა სახლებს ხაზავს.

— ასეთი პატარა სახლი უნდა ააშენოთ? — ვეკითხები მე.

— ქალალდზე პატარა სახლებს ეხაზავთ, აშენებით კი ას-  
 ჯერ და ორასჯერ დიდებს ვაშენებთ. — მიხსნის გელა.

იცით, რა ლამაზად აუერადებს სახლებს? ძალიან მომწონს.  
 შავი ნახაზებისა კი არაფერი გამეგება.

— აი, ეს სქელი შავი ხაზები აგურის კედლებია, ეს კი  
 ოთახებია. ხელავ. სხვადასხვა ზომისაა: ეს საწოლი ოთახია, ეს  
 სასტუმრო, ეს სამზარეულო, ეს კი საკუჭნაო. — მიხსნის გელა.

— კარები და ფანჯრები სადღაა? — მოვიკალათ ნახაზთან.

— ფანჯრები და კარები აი ამ პატარ-პატარა ხაზების  
 ადგილზე იქნება.

— მალე ააშენებ ამ სახლს?

— მალე ავაშენებ...

— მერე წამიყენენ რა ამ სახლის სანახავად!

— უთუოდ წაგიყვან, ჩემო ხათუნა! ახლა კი დამეხსენი, წა-  
 დი, გაკვეთილები ისწავლე! — მოხვევა გელამ.

რას იქტებს ხათუნს უფროსი ძმა?

რა სხვოვა ხათუნამ ძმას?

რას შეკვირდა ხათუნას თვისი ძმა?

## სათბურში

ერთხელ ძია გიორგიმ მაყვალა და გურამი ავტობუსით ქალაქებარეთ წაიყვანა. ავტობუსმა გაიარა ქალაქის ქუჩები და თოვლით გადათეთრებულ მინდორზე გაჩერდა.

ავტობუსიდან ჩამოსულმა ბავშვებმა ჩევეულებრივი ბოსტნის მაგიერ მინის შენობები დაინახეს. ძია გიორგიმ ბავშვები შენობაში შეიყვანა.

— უჰ, რა თბილა! ნამდვილი ზაფხულია,— წამოიძახეს ბავშვებმა.

— სწორედ ამიტომ ჰქვია ამ შენობას სათბური.— აუხსნა ძია გიორგიმ.

ბავშვებმა დაინახეს ლამაზად აქოჩრილი ბოსტნეული.

ისინი გულმოლგინედ ათვალიერებდნენ მცენარეებს.

— ზოგი ახლა ისხამს, ზოგი ყვავის, ზოგიც მწიფს, სწორედ ისე, როგორც ნამდვილ ბოსტანში.— ამბობდნენ ბავშვები.

— ესეც ბოსტანია, შვილო, მხოლოდ ზამთრის ბოსტანი.

— სათბურს რით ათბობთ, ღუმელი რომ არა დგას?— იკითხა გურამიშა.

— ხელავ ამ რეინის მილებს? მაგაში ცხელი წყალი მოძრაობს, რომელიც დიდი ქვაბიდან მოდის.

მაყვალა და გურამი იქ შევიდნენ, სადაც კიტრი ეთესა. კიტრსაც ისე, როგორც პამიდორს, მრავალი ყვავილი და ნაყოფი ესხა.


— სათბური უნდა მოვრწყო, — უთხრა ძიამ ბავშვებს და ონკანი გადაატრიალა.

საღამო ხანს კმაყოფილი ბავშვები შინ დაბრუნდნენ, თან პატარა კალათით ბოსტნეული მოიტანეს.

რა არის სათბური?

რამ გაკვირვა გურამი და მაყვალა სათბურში?

# ଶାଶାଙ୍କରାତି



ଅନ୍ଧରେତେ ହେ ଶୁରୂତି.

## 25 თებერვალი

ჩემო ტკბილო საქართველოვ,  
 მოგილოცავ ძვირფას დღესა,  
 მონობიდან თავდახსნილო,  
 აღარ ისმის შენი კვნესა!  
 მოგილოცავ გამარჯვებას,  
 ილხენდე და ნეტარებდე,  
 თავისუფალ გმირის სახელს,  
 საუკუნოდ ატარებდე!

სიტყვების ახსნა. საუკუნოდ — სამუდამოდ.  
 ნეტარებდე — ბეჭნიერად ცხოვრობდე.

## დედობრივი სიუვარული

ნადირობიდან მოვდიოდი ბალდაბალ. ჩემს წინ ძალით  
 გარბოდა. უცებ მან სიჩბილს უკლო და ფეხაურეფით იწყო.  
 მიპარვა, ეტყობოდა, ფრინველის ან ნადირის სუნი აეღო.  
 გავიხედე წინ და ჩიტის ბარტყი დავინახე, ბუდიდან ჩამოვარ-  
 დნილიყო და უძრავად იჯდა. ფრთხი აქეთ-იჭით საცოდავად  
 გაეფოფხა.

ჩემი ძალი მძიმედ უახლოვდებოდა მას. უცებ იმავე ხი-  
 დან ხნიერი ბეღურა გადმოქანდა და ძალის ცხვირწინ და-  
 ერკო. აბურძენულმა და გაკაპასებულმა ერთი ორჯერ ისკუპა  
 პირდალრენილი ძალისაკენ და თავის ბარტყს აეფარა. დედა  
 ჩიტის პატარა ტანი უთროთოდა შიშისაგან, ხმა გაუხრინწიანდა,  
 ძაგძაგებდა, გული ელეოდა, მაგრამ თავგანწირვით იცავდა  
 შვილს.

ჩემი ძალი შედგა, უკან დაიწია. ჩანს, იმანაც იგრძნო

ეს დიდი დედობრივი სიყვარულის ძალა. მე დავუძახე ძალლს  
და წამოვედით.

რატომ ჰქონია ამ მოთხრობას „დედობრივი სიყვარული“?

## ზამთარი მიდის

ძალიან გაჯიუტდა ზამთარი. აღარ აპირებდა წასვლას, მაგრამ მზემ თავისი გაიტანა, თბილი სხივები უხვად გამოუგზავნა დედამიწას, თოვლი სულ დაწურა და აახმაურა მთის ლელეցები. მზემ გაათბო მინდორ-ველიც. გაფურებული დედამიწიდან ამოდიოდა ბალახი, ყვავილი, ჯეჯილი...

გაუთბო წელი საქონელსაც, მინდორზე გაიშალა და პირს იტებარუნებდა ნორჩი ბალახით.

— მუუ! — ეძებდა ძროხა თავის პატარა ხბოს.

ცხვარ-ბატქნის ბლავილმა ხომ მთლად გამოაცოცხლა არებარე.

მინდორში მწყემსების სიმღერა გაისმა.

ყველას უხაროდა გაზაფხულის მოსვლა.

რა უყო მზის სითბომ თოვლს?

რა მოუვიდა ლელეჯბს?

ამ მოთხრობის მინჯეგით დაწერეთ — „გაზაფხული მოვიდა“.



## უკრადლება

თვალმერცხალია ჩვენმა ჯუნამ  
 ეს თვე ზღვაზე გაატარა,  
 მგრძნობიარე გოგონაა,  
 ყველა აქებს — დიდ-პატარა.

ის ისეთი კუდრაჭაა,  
 ისე ნაზი, ისე კარგი...  
 აი, დედას ზღვის კენჭები  
 შეუგროვა მოელი პარკი.

— ეს ლალია! ეს ზურმუხტი!  
 ეს ალმასი, ფირუზქარი!  
 მიპასუხე, დედიკონა,  
 მოგწონს ჩემი საჩუქარი?

დედამ შუბლი დაუკოცნა.  
 იგრძნო, გულში თუ რაც ხდება:  
 — მე ამ ქვებზე უფრო მომწონს.  
 შვილო, შენი ყურადღება?

რატომ ჰქვია „მ ლექს „უკრადლება“?

## თოვლი და ენძელა

ლიამ და მანანამ რვა მარტს დედიკოს პაწაწინა კალათით  
 ენძელები მიართვეს.

— გმადლობთ, ჩემო კუდრაჭებო, — გაულიმა დედამ და ჰეი-  
 თხა, თოვლისა და ენძელას ზღაპარი თუ იცითო?

ბავშვებმა არ იცოდნენ და დედამ უაშბო:

— წინათ თოვლი უფერო იყო. ამიტომ ბალახთან მივიდა  
 და სთხოვა:

— მწვანე ბალახო, შენი ფერი მომეციო!

ბალახმა ტუჩი აუბზუა და უკმეხალ

მიუგო: გზას ბარაქა და აყარეო!

მერე იასთან მივიღა:

— საყვარელო, ცისფერთვალა ია,

ბალახმა უარით გამომისტუმრა და იქნებ,

შენ მაინც მომცე შენი ფერიო!

იამ ჩაიღიმა და უარით გაისტუმრა.

არც ყაყაჩომ დაუთმო თოვლს თავისი ფერი.

ბოლოს თეთრ ენდელას ეწვია და შესჩივლა:

— არც ბალახმა, არც იამ და არც ყაყაჩომ თავისი ფერი არ  
მომცეს. მე ხომ ფერი არა მაქვს, უფერული ვარ, იქნებ შენ  
მაინც შემისრულო სურვილიო.

პაწაწინა ენდელამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და თა-  
ვაზიანად მიუგო:

— ინებე ჩემი ფერიო!

ჰოდა, ახლა თოვლი თეთრია. იგი სხვა ყვავილებს ემტერე-  
ბა და მხოლოდ ენდელასთან მეეგობრობს.

ამიტომ არის ენდელა გაზაფხულის პირველი ყვავილი. იგი  
თოვლშივე ახელს ხოლმე თვალს.

## ჩუქად, ფისო!

ჩუქად, ფისო, ნუდარ ხტუნავ,  
შენი თავი არ მაქვს, ხედავ?

მოისვენე შენც, დათუნავ,  
დალლილია, სძინავს დედას!

დაგახუროთ შალი ფრთხილად,  
არ შესცივდეს, იყოს თბილად.  
გაიღვიძებს, კვლავ მოგვედავს  
საყვარელი ჩვენი დედა.



## დედა და შვილი

უფრო მეტად ვის უყვარხარ,  
 ვინ გფენს, შვილო, გულს სიამეს?  
 ვინ ატარებს შენს ზრუნვაში  
 მოუსვენრად დღეს და ღამეს?  
 — დედა ჩემი საყვარელი.

გამუდმებით როცა ცელქობ,  
 მოუსვენრობ და არ სწავლობ,  
 ცრემლებს ვინ ღვრის, ვინ სწუხს შენთვის?  
 ვინ ფიქრობს და ვინა წვალობს?  
 — ისევ დედა საყვარელი.

## ცრუპენტელა

იყო ერთი ცრუპენტელა კაცი. ერთხელ უცხო ქვეყანაში  
 წავიდა. უკან რომ დაბრუნდა, ტრაბახით ყველას ყურები გა-  
 მოუჭედა:

— იქ ისეთი საოცარი რამები ვნახე, რომ თქვენ აქ სიზ-  
 მარშიაც ვერ ელირსებითო.

— განა ასეთი რა ნახეო? — ჰკითხეს მეზობლებმა.

— აი, მაგალითად, ინდოეთში ვირები ხის ტოტებზე არ-  
 ხეინად გადიოდნენ და გამოდიოდნენო.

ამ დროს იქვე, ხის ძირში, ვირი ბალახსა ძოვდა. მეზობელ-  
 მა უთხრა:

— შვილოსან, თუ ეგ ცოცხალი ტყუილი არ არის, აი ეს  
 ვირი და ეს ხე, აბა აქაც გავიდესო!

სად წავიდა ერთხელ ცრუპენტელა?

რას ეუბნებოდა ხალხს?

რა უთხრა მსა მეზობელმა?

# Տ Տ Տ Ա Ջ Ծ Ռ Ծ



## გაზაფხული

მარტი გავიდა, გათბა დღე,  
დარები დგება მზიანი,  
მიწა გაფუვდა, ბუჩქებში  
გამოჩენილან იანი.

მოფრინდა გვრიტი, შოშია,  
ოფოფი სავარცხლიანი,  
მწვანედ ბიბინებს მინდორი,  
მოლი და ველი ცვრიანი.

ჭუკჭუკებს დილა-საღამოს  
ახლად მოსული მწყერია,  
თავს ძლივს იმაღავს ჯეჯილში  
ჭია-ღუების მტერია.

დილაადრიან მერცხალმაც  
გამოაღვიძა სოფელი,  
„გაზაფხულდაო!“ — დაგვძახის  
პირველი მახარობელი.



## ბერიკაცი და ნამუენი

ერთი ღრმად მოხუცებული კაცი ბაღში მსხალს ამყნობდა.  
მივიდა ერთი ყმაწვილი და ჰქითხა:  
— ჰაპა, რას აკეთებ?



— მსხალს ვამყნობ, ჩემო კარგო, — მიუგო მოხუცმა, — შეიძლება ამის ნაყოფს მე ვეღარ მოვესწრო, მაგრამ სხვები მოვეწრებიან, გაიხარებენ და მაღლობით მომიგონებენ. ფუტკარიც კი არ შრომობს მარტო თავისთვის და აღამიანმა როგორ არ უნდა იზრუნოს სხვებისათვის.

---

რა ჰქონა ბავშვება მოხუცს?  
 წერილობით გაეცით პასუხი კითხვაზე.

## ჯეჯილი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
 დაპურდი, გახდი ყანაო,  
 იხაროს იმის მარჯვენამ,  
 ვინც გთესა, მოგიყვანაო!

Ներած ցոշիաւնու լրակ-նամո,  
թիշտ Մյոյի ցոսնու տաճառ,  
յարմա ցալցլուն հղասացոտ,  
միշորեծմա մոցմաեռն նաճառ!

Ճալլադո, տազո ճասենո,  
չյջոլո, նորիո պաճառ,  
ոմուսո սանրած Մյօյեն,  
զոնց ցոյսա, մոցովաճառ!



## ՉՈՐԻԸ ՀԱՅԱ

մարովոտ քարուրուլու զորո մօնարցմո ցալուռա, წառ-  
ցորեսոլո ճա წյալմո հայցա. մարոլո ճաճնա, սածալնց Մյեմ-  
սուծոյիլա ճա զորո աճուրուա աճու. — յև յարցու, հեմա միշտ,—  
ոյցոյիրա զորմա, — წյալմա յուճյը ցամացրուլո ճա սածալնցը Մյ-  
մօնսուծոյիլա. ամս յարցաճ ճազոմաեսուցրեծո.

րամլենմց ճուս Մյեմճը ամ զորո լրոյնելո աչկոճյը ճա  
օմազո ցնանց წաոյցանց. Մյու წյալմո րոմ Մյեմուրա, զորո ցան-  
ներած წաոյիցու. ցցոնա, ტցորոտո աելուց Մյեմօնսուծոյիլոցը ճա. ու յո-  
րու, լրոյնելո წյոլոտ ցայլունու ճա Տցորոտո սամոնլու ճամ-  
մօնլա. սցունուրու զորո ցելար წամուրգա ճա ճասերիո.

---

Հա սցունուրու ցամոնինա յարմա?



## ია და ბავშვი

ნუ შემახებ პაწაწა ხელს,  
 ნუ, ნუ-მეთქი, ჩემო კარგო,  
 ის არა სჯობს, გავიზარდო  
 და ბაღნარი მოგიქარგო?!  
 ჯერ შენსავით პატარა ვარ,  
 გამახარებს შენი ცქერა!  
 ახლოს დაჯექ, გამაგონე  
 მხიარული შენი მღერა!

---

რას სოხოქს ბავშვს ია?

## გიტგიტა და ბათურა

(ზღაპარი)

ერთ ეზოში ცხოვრობდნენ იხვის ჭუჭული ვიტვიტა და  
 ლეკვი ბათურა.

ერთხელ ვიტვიტას წუწყი ფისო შესაჭმელად გამოუდგა.

— მიშველე, ბათურა! — ყვიროდა ვიტვიტა და, რაც ძალი  
 და ლონე ჰქონდა, გარბოდა.

— ჰამ, ჰამ! აი, შე საძაგელო! — შეუყეფა ბათურამ ფისოს.  
 ფისო გაიქცა და თავის გადასარჩენად ხეზე ახტა.

— გმაღლობ, ბათურა, ახლა კი წავიდეთ და ვიბანაოთ, —  
 უთხრა ვიტვიტამ ბათურას. ორივე მდინარისაკენ სიმღერით  
 გაეშურა.

„საბანაოდ მივდივართ,  
გავგრილდებით მალე,  
უურვაც ვიცით, სიმღერაც,  
დივლი დალალალე!“

მდინარესთან რომ მივიღნენ,  
ვიტვიტა მაშინვე წყალში გადაეშვა.

— ვახ, ვახ, რა კარგია, ჩამოდი! —  
დაუძახა ბათურას.

ბათურა დიდ ქვაზე შედგა.

— ერთი, ორი, სამი, ჰოპ! — წამოი-  
ძახა და ისიც წყალში გადახტა.

ამ დროს ვიტვიტამ თევზი შეამჩნია,  
დასჭერად გამოუდგა და ჩაყვინთა. ბა-  
თურამ მოიხედა და მეგობარი რომ  
ვერ დაინახა, შეეშინდა, ხომ არ დაიხრ-  
ჩოო და დაუძახა:

— ვიტვიტა!..

მაგრამ ვიტვიტა არსად ჩანდა. და-  
ლონებულმა ბათურამ ტირილი დაიწყო.  
უცბად მდინარიდან თავი ამოყო ვიტ-  
ვიტამ, რომელსაც მოფართხალე თევზი  
ეჭირა პირში. ვიტვიტა ნაპირზე გამოვი-  
და, თევზი ნისკარტით შუაზე გაყო  
და ბათურას უთხრა:

— მიირთვი, ძმობილო, ბანაობის  
შემდეგ საუზმე მეტად გემრიელია!

— გმადლობ, მეგობარო! — მიუგო  
გახარებულმა ბათურამ.



მეგობრებმა მაღიანად ისაუზმეს. სპეციალისტების შემდეგ ვიტვიტა და ბათურა შინისაკენ წავიდნენ. თან ასე მიიმღეროდნენ:

„ვახ, ვახ, ჰამ, ჰამ! მოვდივართ,  
შინ ვიქნებით მაღე,  
კარგი მეგობრები ვართ,  
დივლი დალალალე!“




წაიყითხეთ ის ადგილები, საიდანაც ჩანს მეგობრების მზრუნველობა ერთმანეთზე.

## მე კველაფერს მირჩევნია

აპრილს უყვარს ია ლურჯი,  
მაისს — წვიმა წანწყარა,  
კლდეს — მდინარის შეძახილი,  
ჯეჯილს — წყარო ანკარა,

ქალას — სტვენა ბულბულისა,  
ტყის შრიალში ჩართული...  
მე კველაფერს მირჩევნია  
ჩემი ტკბილი ქართული!

# କାଳାଙ୍ଗ ଦରତା



ଅନ୍ଧରେ ଯେ ସୁରାତି.



ଇ ପାତ୍ରାରୀ ଗନ୍ଧର୍ଣ୍ଣା ପୁଣ,  
ଶୁଣ ଓତେ ଫଳିଲା.

ଏହିତେଣ୍ଠେ ମାମାମ ସାସେଇରନ୍ତିର  
ଚାପୁଗାନ୍ତା. ମିନଦିନରିତି ଗାସିଲନ୍ତେଣ୍ଠେ.  
ମିଳିବାନୀ ଘର୍ଯ୍ୟ ପୁଣ,  
କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ  
କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ,  
କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ.  
ମାମ ଦୁଇଜିଲା ମିଳିରି ଏହିତେ ମାଲିବାନୀ  
ଲାମାଶି ପ୍ରାପ୍ତିଶିଳ୍ପି ଦାନିବାନା,  
ଲୋକ ପାତ୍ରାରୀ ପୁଣ ଦା ନାଶିବିତ  
ମନ୍ତ୍ରପ୍ରେସି.

ମାମାମ ଉତ୍ତରା: — ଆ, ଏହି ପ୍ରାପ୍ତିଶିଳ୍ପି ଶେନି ଶେବନିବା, ମାଗାଶାପ ଇବ୍ରାବିରା.

ଗନ୍ଧର୍ଣ୍ଣାରେ ମାଲିବାନ ଗାୟକିରଣରେ. ମିଳିଦା, ମନ୍ତ୍ରପ୍ରେସି ପ୍ରାପ୍ତିଶିଳ୍ପି ଦା  
କ୍ଷେତ୍ରକା:

— ଲେଖା ପ୍ରାପ୍ତିଶିଳ୍ପି?

ପ୍ରାପ୍ତିଶିଳ୍ପିର ଅରାଟ୍ରେର ଉପାଶୁକା. ମାମାମ କି ଉତ୍ତରା ତାଙ୍କିରେ ଗନ୍ଧର୍ଣ୍ଣାବିରା:

— କେଇବୁ, ଶେବନିବିତ ମନ୍ତ୍ରପ୍ରେସି, କିମା ଏହି ଗାୟକା. ଲେଖା କି ପ୍ରାପ୍ତିଶିଳ୍ପି,  
ଏହି ଏହି ମିଳିବାନ ମାଗିଲା ଲେଖା. ଲେଖା କଥିରେ ଏହିତେ କଥିରେଣ୍ଠେ  
କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ.

ଶେବନିବିତ ଏକବିରା. ଶେବନିବିତ — ମନ୍ତ୍ରପ୍ରେସି

କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ  
କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ  
କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ କଥିରେଣ୍ଠେ

# მელია და მწყერჩიტა

(ხლაპარი)



მშიერმა მელიამ ლეშს მიაგნო და ღონიურად მიაძლა; გაუკირდა მონელება, შეეხევწა მწყერჩიტას:

— მეზობელო, ოღონდ კი ეს საჭმელი მომანელებინე და, თავი არ მომიკვდება, შენს ბარტყებს პირს არ ვახლებო!

— კარგიო, — უთხრა მწყერჩიტამ, — მე ავფრინდები და შენ უკან ფეხდაფეხ მომყენ!

აფრინდა და გაიდევნა უკან მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, მანამ ფერდებს დააწყვეტინებდა.

— ძმობილო, მოინელე თუ არაო? — ჰკითხა მწყერჩიტამ.

— მონელებით მოვინელე, მაგრამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანაო. ერთი გულიანად მაცინე და შენს შვილიშვილებსაც არას დავუშავებო!

— კარგი, ეგეც ადვილი სამსახურია. გამომყე უკან და სიცილითაც გაგაძლებო, — უთხრა მწყერჩიტამ.

მწყერჩიტამ მიიყვანა მელია კალოზე და ძნაში დამალა, თვითონ მიიტრინდა და ხარს რქაზე დააჯდა. გლეხმა სახრე მოუქნია მწყერჩიტას, მაგრამ ის სწრაფად აფრინდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა.

მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მერე მწყერჩიტა მაწვნის ქოთანზე დაჯდა. ქვა ესროლებს.

მწყერჩიტამ აიცდინა და მოხვდა ქოთანს. ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზე დაიღვარა.

მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მესამედ მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზე. ბავშვმა სახრე მოუქნია, მაგრამ თავში მოირტყა და მორთო ლრიალი.

მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მიფრინდა მწყერჩიტა მელიასთან და ჰეითხა:

— კაი სეირი გაჩვენე თუ არაო?

ამ დროს მელიას კიდევ მოშივებოდა, წაატანა პირი, უნდოდა მწყერჩიტა დაეჭირა და შეეჭამა. მწყერჩიტა აფრინდა, მელიას ზემოთ ძნაზე დაჯდა და უთხრა:

— ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოო.

მიებარა გლეხი მწყერჩიტას და მოუქნია დიდი სახრე. აიცდინა მწყერჩიტამ სახრე, მოხვდა მელიას შიგ თავში და. შუაზე გაუტეხა.

აფრინდა მწყერჩიტა, გასწია თავისი ბინისაკენ და მელიას მიაძახა:

— სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო!

სიტკვების ახსნა. მანამ ფერ დებს დააწყვეტინებდა — მანს მთლად დაჭანცავდა.

რა სხოვა მელიამ მწყერჩიტას?

რა პირობა მისუა მან მწყერჩიტას?

როგორ შესრულა მწყერჩიტამ მელიას თხოვნა?

როგორ შესრულა მელიამ პირობა?

## ქურდი და მამალი

ქურდი სტუმრად იყო. მასპინძელი ოჯახიშვილურად დაუხვდა. ქურდმა თავისი მაინც არ დაიშალა, მასპინძელს მამალი მოპარა, კალთაში გამოიხვია და გაიპარა.

პატრონი უკან დაედევნა,  
დაეწია და მამალი ჰეითხა.  
ქურდი ეფიცებოდა: არა  
ვიცი-რაო; კალთიდან კი  
მამალს ბოლო უჩანდა.

პატრონმა უთხრა: ფიცი  
მწამს, ბოლო მაკვირვებსო!

ანდაზები. ქურდს ქუდი ეწვისო.  
ქურდი უწინ დაიფიცებსო.

რატომ უთხრა პატრონმა ქურდს — „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“?



## ვის უმღერის ჩიტი ჩიორა?

რიცრავი იყო. გივის ფანჯარას  
ესტუმრა ერთი ჩიტი პატარა,  
კექლუცად ყელი შემოიღერა  
და საამურად იწყო სიძლერა.  
— ეს ვის უმღერის ჩიტი ჩიორა,  
ასე გულთბილად ვის ეფერება?  
— ვინც კარგად სწავლობს  
და კარგი სწავლით  
მოაქვს სამშობლოს ბედნიერება!

როგორ გესმით გამოთქმა — „კარგი სწავლით მოაქვს სამშობლოს ბედნიერება“?



## ჭიანჭველა და ფუტკარი

ჭიანჭველას წამოექიდა ოთხი თავისოდენა ტვირთი, მიათ-  
რევდა და ჩიოდა:

— ჩემოდენა ჯაფაში სულდგმული არ არის, მაგრამ ქება  
კი არავისაგან მესმის. აი ულონო და ბზუილა ფუტკარი მარ-  
ტო ყვავილებზე დაფრიალებს, მაგრამ ყველა იმის ქებაშია-  
მეტი უსამართლობა კიდევ იქნებაო?!

ფუტკარმა ეს გაიგონა და უპასუხა:

— ძმაო, შენ მარტო შენი თავისთვის ზრუნავ, ჩემი შრომა კი  
აღამიანისათვისაც სასარგებლოა. ამიტომაც მაქებს მე ქვეყანა  
და შენ კი არავინ არათრად გაგდებსო.

**ანდაზა.** ბევრი ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო.

**გამოცანა.** ერთმა პატარა ბზუილაშ ხალხი აავსო შარბათით,  
დაზამთრებამდე მუშაობს, არ იცის კვირა, შაბათი.

რა თქვა ჭიანჭველამ თავის შრომაზე? ფუტკარის შრომაზე?

რა უთხრა ფუტკარმა ჭიანჭველას?

ჭიანჭველაა მართალი თუ ფუტკარი?

გაეცით პასუხი კითხვებზე და დაწერეთ.

# მოხერხებული ყვავი



ყვავს წყალი მოსწყურდა და  
მინდორში დაყიალებდა წყლის  
საშოვნელად, უნდოდა, ყელი  
გაესველებინა.

უცებ წყლიან სურას წააწყდა, მაგრამ სურაში წყალი ნაკ-  
ლულად იღვა. ოოგორ უნდა დაელია?

დაფიქრდა ყვავი და ბოლოს ეს ხერხი მოიგონა: კენჭები  
მოაგროვა და ნისკარტით სურაში თითო-თითოდ ჩაყარა.

წყალმა ზევით ამოიწია. ყვავმა დაიგრძელა კისერი, ჩაყო  
ნისკარტი სურის ყელში და წყალს დაეწაფა.

რა ხერხს მიმართა ყვავმა?

## მერცხლის სიმღერა

დავჩეკე წვრილი ბარტყები,  
დამეზრდებიან მალეო,  
იფრენენ, იჭიკჭიკებენ  
ლალად დღესა თუ ხვალეო.

კატავ, შე ამოსაგდებო,  
ცოტა ხანს დამაცალეო!  
რა გინდა, რას მეპარები,  
დედა ვარ, შემიბრალეო!



სად იკეთებს მერცხალი ბუდეს?  
რით კვებავს უგი ბარტყებს?  
რას სოხოვს დუდა მერცხალი კატას?



## უურცქეიტა და ნაბია

დედა კურდლელმა ერთ თავის ბაჭიას ყურცქვიტა დაარქვა, იმის პატარა დას კი — ნაბია. ეს სახელები ორივესათვის ზედგამოჭრილი იყო. ყურცქვიტას ძილშიაც კი აცქვეტილი ჰქონდა ყურები, ნაბია განაბული და ცუნცულებდა.

პეტრეს ამათვან მოსვენება არა ჰქონდა. მსუნავები მისი ბოსტნეულით პირს იტკბარუნებდნენ.

მეტადრე ყურცქვიტამ გაუჭირა პეტრეს საქმე. ას ნაბიჯზე ესმოდა მას ფეხის ხმა. ულვაშების ცმაცუნით ატყობინებდა დას და უცბად სადღაც ქრებოდნენ.

პეტრემ და მისმა დედაბერმა გადაწყვიტეს—ეთვალთვალათ ქურდებისათვის. პეტრე თოფით შეიირალდა, დედაბერი ყავარჯინით და სიმინდებში ჩაიმალნენ.

მშვენიერი დილა იყო. ნამი მარგალიტივით მოსხმოდა ბოსტანს. ყურცქვიტა და ნაბია ბუჩქებიდან გამოცუნცულდნენ, შეკრეს კამარა და პეტრეს ბოსტანს ესტუმრნენ.

— აბა, ჰე! — წაიჩურჩულა დედაბერძა.  
 იგრიალა თოფმა. პეტრემ მხოლოდ თვალი მოჰკრა გაქ-  
 ცეულ ქურდებს.  
 ეს ამბავი ერთ წამში მოედო კურდლელთა უბანს.  
 კურდლები სხვა ბოსტანში გადასახლდნენ.

რატომ დაარქვა დედამ ბაჭიებს ყურცელობა და ნაბია?  
 ვის აწუხებდნენ ბაჭიები?  
 როგორ მოაშორა პეტრემ ბაჭიები ბოსტანს?

## ცრუ და მართალი

(ზღაპარი)

იყო და არა იყო ოა. იყო ორი ამხანაგი: ცრუ და მართა-  
 ლი. პირველს თავის დღეში არ ეთქვა მართალი, მეორეს კი—  
 ტყუილი.

ერთხელ მოიხმო ცრუმ მართალი და უთხრა:

— რას ვაკეთებთ აქ რომ ვართ, რა ხეირს შევეყრებით?  
 მოვიმზადოთ საგზალი და წავიდეთ ბედის საძებნელად.

— კარგიო,— მიუუგო მართალმა.

გამოაცხვეს პურები, მჭადები და გაუდგნენ გზას. იარეს, ია-  
 რეს და მოშივდა მართალს, შეეხვეწა ცრუს:

— პატარა თუ არ მაჭამე, სიარული აღარ შემიძლიაო.

ცრუმ უარი უთხრა:

— რა დროს ჭამაა. ფეხი გადმოდგი ჩქარაო!

პატარა ხანს გაჰყვა მართალი, მაგრამ უარესად დასუსტდა  
 და კიდევ შეევედრა ამხანაგს:

— ცოტა მაინც მაჭამეო.

ცრუმ უთხრა:

— თუ მარჯვენა თვალს ამოიგლევ, გაჭმევო.  
 რაღა უნდა ექნა მართალს, ამოითხარა თვალი და ლუქმი-  
 სათვის გაუშვირა ხელი.

ცრუმ აქაც იცრუა:

— ჯერ იარე და მერე მოგცემო.

ცოტაზე გაჰყვა მართალი, მაგრამ შიმშილმა შეაწუხა და  
 ისევ სთხოვა პატარა მჭადი. ცრუმ უთხრა:

— სანამ მეორე თვალსაც არ ამოითხრი, არაფერს გაჭმევო.

მართალს მეტი გზა აღარ ჰქონდა, ამოიძრო მარცხენა თვა-  
 ლიც და მჭადისათვის ცრუს გაუშვირა ხელი.

ცრუმ მჭადის ნაცვლად მართალს ქვა ჩაუდო ხელში და  
 სადღაც გაეპარა. დარჩა თვალებდათხრილი მართალი უდაბურ  
 ტყეში. ძლიერ შეწუხდა საწყალი, გადადგა ორი ნაბიჯი და  
 ხეს დაეჯახა. ბრმამ იფიქრა, ძირს რომ დავრჩე, ნადირი შემ-  
 ჭამსო და დიდი გაჭირვებით ხეზე აცოცდა. მოუსვა აქეთ-იქით  
 ხელები და რაღაც რბილი მოჰყვა ხელში. თურმე ხეს მწიფე  
 მსხალი ესხა. დაიწყო ბრმამ ჭამა. ძალზე გაძლა და ღმერთს  
 მაღლობა შესწირა.

გავიდა ცოტა ხანი და ბრმასხის ძირიდან რაღაც ხმა შემოე-  
 სმა. თურმე სამი ეშმაკი მოსულა და ერთიმეორებს რაღაცას  
 ელაპარაკებიან. პირველმა ჰქითხა მეორეს:

— შენ რა იციო?

— აქ ერთი წყალია, ზევით ბრმა ზის, ის რომ იმ წყლით  
 თვალს ამოიჩეცდეს, მაშინვე აეხილებაო.

ბრმამ ეს კარგად დაიმახსოვრა.

მეორემ თქვა:

— ერთ სახელმწიფო ფულის დიდი ქესატობაა. იმ სახელ-  
 მწიფოში ერთი დიდი ჭადარია, მის ძირში აუარებელი ფუ-  
 ლია, ვინც ჭადარს მოთხრის, ფულიც მისია.

მესამემ თქვა:

— ამა და ამ მეფეს ერთი ქალი ჰყავს და უკვდება, ვერა-

ვინ უშველა და არც მორჩება, თუ ის ბაყაყი არ მოკლეს, რომელიც ქალის ტახტის ქვეშაა.

ეშმაკები წავიდნენ. ბრმა ჩამოცოცდა ძირს, როგორც იქნა, მოძებნა წყალი, ამოიბანა თვალები და მორჩა. წავიდა ჭადრის საებნელად, მიაგნო, წარუდგა იქაურ მეფეს და მოახსენა: — რას მომცემ, იმდენი ფული აღმოვაჩინო, რომ შენს სახელმწიფო უკველას ეყოს!

მეფემ უპასუხა:

— რამდენიც გენებოს, მიირთვი.

წაიყვანა მართალმა კაცები, მოთხარა ჭადარი, ამოილო ფული, ერთი ჯორკიდებული თავისთვის შესანახად მეფეს მიაბარა. დანარჩენი კი მეფეს აჩუქა.

ეშველა სახელმწიფოს.

შემდეგ მართალი წავიდა მეორე ხელმწიფესთან და როცა მიაგნო, მოახსენა:

— მეფევ, რას მიბოძებ სააქიმოს, ქალი რომ მოგირჩინო? მეფე დაპირდა, რასაც ისურვებდა.

გამორეკა მართალმა ქალის ოთახიდან უკველა, მოკლა ბაყაყი და ქალიც მორჩა.

გახარებულმა მეფემ უხვად დაასაჩუქრა მკურნალი, გამოატანა ჯორკიდებული და გამოუშვა.

მართალმა გამოუარა პირველ მეფეს. მიბარებული ფული გამოართვა და წამოვიდა სამშობლოში. წინ შეხვდა ცრუ ამხანაგი და ჰეკითხა:

— რამ გაგამდიდრა?

მართალმა ყველაფერი სიმართლით უამბო. ცრუმ იფიქრა, ჩემი საქმე გაკეთდაო; წავიდა და დაჯდა იმ ხეზე, რომლის ძირას ეშმაკები ლაპარაკობდნენ იმ ლამეს. დაუგდო ყური და შემოესმა ეშმაკების ლაპარაკი. ცრუს უხარია და უგდებს ყურს. ერთმა ეშმაქმა თქვა:

— ამ ხეზე ცრუ კაცი ზის, ჩამოვიდებ და ერთს მაგრა მივბეჭვავო!

მეორემ თქვა:

— მე მოკლავ!

მესამემ თქვა:

— ეს აღესილი დანა რად მინდა, მივალ და სულ ლუკმა-ლუკმად ვაქცევ.

მართლაც ასე მოექცნენ ცრუს. ერთმა დაბეგვა, მეორემ მოკლა და მესამემ ლუკმა-ლუკმად აქცია.

ანდაზები. ნუ იქმ აესა და ავისაც ნუ გვშინიაო.

სიმართლის ნერგი იხარებს. დარგო თუნდ სისა ქვაზედა.

სიტყვების ახსნა. ეშმაკი — ცრუმორწმუნეთა წარმოდგენით — ბოროტი,  
აფ სული.

ქესატობა — ნაკლებობა, სიმკირეა.

როგორ მოექცა ცრუ მართალს?

ულალატა თუ არა მართალმა სიმართლეს? რა ბედი ეწია ჩას?

რა ბედი ეწია ცრუს?

## ჩვენი ბალი

ნელ-ნელა ცოცხლდება ჩვენი ბალი. მე კი მეგონა, ზამთრის სუსსს თავს ვეღარ დააღწევს-მეთქი.

არც საკვირველი იყო! ხეხილს თოვლის თეთრი ნაბადი წა-მოესხა. ვაზები წელში მოხრილიყო სიცივისაგან.

მაგრამ ჯერ შუა მარტი არ იყო, როდესაც ჩვენს ბალს გა-მოცოცხლება დაეტყო.

ეს პირველად შინდმა გამაგებინა. პირველად მან აიწია მაღლა ტოტები, შეიძეგრტყა თოვლი და პაწაწინა საამური კო-კორი ამოფეთქა.

ალბათ, ნუშაც გული მიეცა. არ გასულა ორი-სამი კვირა, რომ ნაზი ტუჩებით მისმა კოკორმაც ალერსით გაუღიმა გაზა-ფეულს.


ვაზი ხომ სულ ერთიანად აქვითინდა სიხარულისაგან, წელში გაიმართა, კვირტი გამოუშვა და ჭიბული გადაეხვია.

ნარჩიტა, რომელიც აქამდე მობუზული საცოდავად გამოიყურებოდა, ალარ ასვენებდა ნისკარტით ნუშის კოკორს.

შაშვემაც ხმა აიმალლა, საამურად უსტვენდა. ძირს ყინვის ბორკილებისაგან განთავისუფლებული რუ მორბოდა, მოჩუხეჩუ-ხებდა, მღეროდა და მზის სხივებს გულში იხუტებდა.

**ცოცხლდება, ცოცხლდება ჩვენი ბალი!**

როგორ გემით გამოთქმები: „ნუშაც გული მიეცა“, „ვაზი აქვითინდა?“ რას ნიშნავს გამოთქმა: „ცოცხლდება, ცოცხლდება ჩვენი ბალი?“ დაკვირდით ხეხილის კოკრებს: რომელი კოკირია უფრო მსხილი: საფოთლე თუ საყვავილე? რომელი კოკირი უფრო აღრე იშლება საფოთლე თუ საყვავილე? რომელი ხეხილი ყვავის ყველაზე აღრე? შეადგინეთ ხეხილის აყვავების კალენდარი.



## ა ლ უ ბ ა ლ ი

ლენინის მშობლებს კარგა მოზრდილი ბალი პქონდათ. ბალში ხეხილი იყო გაშენებული: ვაშლი, ალუბალი, სხვადასხვანაირი კენკრა.

ლენინის დედა თადარიგიანი ქალი იყო და შვილებიც მიაჩვია წესრიგს, წარამარა ხეზე ასვლის ნებას არ აძლევდა ბავშვებს.

აი, ეს ხენდრო და ეს უოლო თქვენი იყოს. — დაარიგა ერთხელ დედამ ბავშვები. აი, ამ ხის ვაშლები ჭამეთ, ამ ხისა კი სამურაბედ უნდა დავკრიფოთ. ამ ალუბლის ხეებსაც თქვენ გითმობთ, გარდა ამ სამი ძირისა. ეს სამი ხე მამათქვენის სახელზე იყოს. მის დღეობაზე სტუმრები მოვლენ. გაუხარდება მამას, სტუმრები რომ თავიანთი ხელით დაკრეფენ ალუბალს.

ლენინის მამას ილია ერქვა. ოჯახი ყოველწლიურად იხდიდა ილიაობას. ეს ხდებოდა ორ ივნისტოს. მოვიდოდნენ სტუმრები. დასხდებოდნენ ფანქატურში, მიუსხდებოდნენ სუფრას. სუფრიდან რომ ადგებოდნენ, თავიანთი ხელით კრეფდნენ ალუბალს.

სამი ალუბლის ხე დახუნდლული იყო ნაყოფით. სტუმრებს უკვირდათ. რომ ბავშვებს ხელი არ ეხლოთ ალუბლისათვის.

— ბავშვებმა იციან. რომ ეს ალუბალი მამის დღეობისათვის ხელუხლებელი უნდა იყოს. — ეუბნებოდა დედა სტუმრებს. — წესიერებას ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა მიეჩვიოს.

**სიტუაციის ახსნა.** ფანქატური — ფოთლიანი ფიჩებით დახურული საჩრდილობელი, უკლებო.

დახუნდლული იყო ნაყოფით — საქსე იყო ნაყოფი, ბეჭრი ნაყოფი ესხა.



## Ընդունակ և ծավալվեծ

Ընդունակ սպասարկ ծավալվեծ,  
տաշ ցըլլեծուն քարոզեծ,  
ամենածան մատան տամաշո  
ցուլս մօխալուսեծ, մօխարուս.

## განხაფხული



აღარც ქარი, აღარც სუსხი,  
აღარც თოვლის ნარჩენია,  
ტყემლის ყვავილს ფიფქი სცვია,  
ატმებს ცეცხლი გასჩენია.

ცის ლაუვარდში — ტოროლები,  
აივანზე მერცხლებია,  
გამოსულან პატარები,  
მათი ცქერით ვერ ძლებიან.

## ლია და ფერგარი

პატარა ლიას სკოლა შუა სოფელშია, გზის ნაპირზე. ერთ  
დღეს სკოლის ეზოში პიონერებმა პაწაწინა სახლები დადგეს.  
ლია თავის ძმას შეეკითხა:

— კოტე, ეს რა სათამაშო სახლები დადგით ჩვენი სკო-  
ლის ეზოში?

— როგორ თუ სათამაშო? თითო სახლში ათასმა უნდა  
იცხოვოს!

— ათასმა?! — გაიცინა ლიამ.

— ჰო!

— იმ სახლში ათასი სული კი არა, მე ერთიც ვერ დავე-  
ტევო.

— როცა ნახავ, მაშინ მიხვდები.

ლიას დიღხანს არ დასჭირდა ლოდინი. პატარა სახლებ-  
ში პიონერებმა ფუტკარი ჩაასახლეს. თაფლს რომ ფუტკარი  
ამზადებდა, ეს კი იცოდა ლიამ, მაგრამ თაფლს უფრო კარგად  
იცნობდა, ვიდრე — ფუტკარს. გოგონა ძმას შეეკითხა:

— Եղեազ, հաս քամցն, ჩվյեն րոմ ասետ  
յարշ տաղլս ցամինաձեցն?

— Կազակութեան վայինան.

Ըստ գայիշը და օսպէրէրջը սամրազո  
կազակութեան մուստանա, մացրամ մատ նելալ  
առ ճաեցքաց.

— Հա կամուլան յս օսպէրէրջի, կազակ-  
ութեան մուստան, օստնո մանց Շորս ցաղ-  
րոնցնեն.

— Ես չավրոծ, — ճամշադա մմամ, — օսպէրէրջի տցոտոն  
կազակութեան մուստա, տցոտոնաց პուլութեան կազակութեան դա ցեմրոյլ  
տաղլսաւ ամինաձեցն.

Հա ճաւցի կյոլուս յիշո՞մի პոռեհեմա?

Հա ցընա լուս?

Հոտ սահրդութեան օսպէրէրջի?

Հա մուստան լուս օսպէրէրջի?

Հա սուտերս ձարան լուս մմա օսպէրէրջիս մուստան?



## մասա դա կումասա

Մասա վիտութեա յածա ցլա, վինչիլութեանո. ցողոնամ մոլոնց  
ուրիշնա միջրո լասնա, օսուս վիտութեա დա ճանչինչիլութեա.

— Ճյալո, ճյալո, նաեւ, հիմուստանա յածա պարա! — ասեսնա մասամ  
ճյալոս.

— Եց, կամուլո, կումասա! — մուցը ճյալո.

— Շենց մասա, մըց մասա, մուճո յիշտած ցուտամանոտ! — սուտերս  
ցողոնամ կումասա դա ճանչիլութեա տամաշո. մասա ձալանուս յուղեան  
ացեծդա, կումասաւ ճյարութան ճյարոնց դապուրավդա.



ამასობაში დაღამდა. გოგონა მაია  
შინ წაიყვანეს, წინწკლებიანი კაბა  
გახადეს და დააძინეს. ჭიამაიას კი კაბა  
არ გაუხდია, კაბიანად ჩაეძინა მრავალ-  
ძარღვას ფოთოლზე.

---

როგორი კაბა ეცა მაიას? ჭიამაია?  
რა უთხრა გოგონამ ჭიამაია?  
რას შერებოდა ჭიამაია?  
როგორ დააძინეს მაია?  
ჭიამაიამ როგორ დაიძინა?

## ც რ უ

ბიჭი ცხვრებს აძლევებდა, მახლობლად გლეხები ყანას მკიდ-  
ნენ. ბიჭმა იფიქრა, მოდი, ამ გლეხებს შევაჩიჩქოლებო. უცებ  
ყვირილი მორთო: ვაიმე, ვაიმე, მიშველეთ, მგელიო!



გლეხები მოცვივდნენ. ნახეს — ტყუილი იყო.  
ასე მოატყუა ბიჭმა გლეხები მეორედ და მესამედ. მეოთხედ  
მგელი მართლა მოუვარდა ბიჭს. ბიჭმა გააბა ყვირილი: არიქა,  
მიშველეთ, მგელიო!  
გლეხებს ეგონათ — კიდევ გვატყუებსო  
და ყურიც აღარ ათხოვეს. მგელი უშიშ-  
რად დაერია ცხვრის ფარას და დიდი ზა-  
რალი მიაყენა.

---

ანდაზა. ტყუალის მთქმელს მართალსაც აღარ  
დაუკერებენო.

რას შერებოდა ბიჭი?  
რას შერებოდნენ გლეხები ყანაში?  
რამდენჯერ მოატყუა ბიჭმა გლეხები?  
რა მოხდა მეოთხედ?



## ჩემი საშობლო

ჩემი საშობლო ქვეყანა  
რა ლამაზია, რა კარგი,  
ცა-ფირუზი, ხმელეთ-ზურმუხტი,  
ნაირფერებით ნაქარგი!

ჩემი საშობლო ზურმუხტის  
და მარგალიტის სადარი,  
ამჟიგად აყვავებული  
მხარე მეორე სად არის?

## მგელი და ბატყანი

ცხერები ტყის პირას ძოვდნენ. ერთი  
ბატყანი ფარას ჩამოშორდა.

დედამ უთხრა შვილს:

— შორს ნუ წახვალ, შვილო, უბედურებას არ გადაეყარო!  
ბუქების უკან მგელი იყო დამალული.

— დედას არ გაუგონო! ეგ უკვე ხანში შესულია, სიარული  
ეზარება და შენც ამიტომ გიშლის სირბილს. გაიქეცი მინდორ-  
ში და ირბინე! — წასჩურჩულა მგელმა ბატყანს.

ბატყანმა დაიჯერა და ტყისკენ გაიქცა. მგელსაც ეს უნდო-  
და: მივარდა ბატყანს და ზუნაგისაკენ გააქანა.



ანდაზა. დედის წინ მარბენალ კვიცს მგელი შეჭამსო.

რას ურჩევდა დედა ბატყანს?  
რატომ დაიღუპა ბატყანი?

# ფუტკარი და მტრედი

(ივან-ასაკი)

ჯაფისაგან დაღლილი ფუტკარი წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა. ახლო ხეზე დედა მტრედი იჯდა. თვალი შეასწრო ფუტკრის გაჭირებას, აფრინდა, მოგლიჯა ნეკერჩხლის დიდი ფოთოლი და ჩაუგდო წყალში. ფუტკარი ზედ შეჯდა და წყალმა ნაპირზე გამორიყა. ფუტკარმა გაიშრო მზეზე სველი ფრთხი, აფრინდა და მხიარული ბზუილით გასწია თავისი სკისაკენ.

გავიდა ამდენიმე დღე. ბარტყებისათვის საჭმლის ზიდვით დაღლილი მტრედი ხეზე იჯდა და თვლემდა. ამ დროს მონადირე მიეპარა, ამოეფარა ჩირგვს და დაუმიზნა თოფი. ამას თვალი მოჰკრა ახლო ყვავილზე მჯდომმა ფუტკარმა, აფრინდა, სწრაფად მიფრინდა მონადირესთან და მარჯვენა ხელზე უკბინა სწორედ იმ დროს, როცა ჩახმახს აცემინებდა. მონადირეს სიმწრისაგან ხელი აუკანკალდა და მტრედს ტყვია ასცდა.

ანდაზა. რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

როგორ გადაუხადა ფუტკარმა ამავი მტრედს?



## Թ Ա Ը Ն Գ Ա Ժ Ո

Քաձամ տալլցամո լրարշո. ցանիօսարճա տալլցամո լուլնե լուլո. ամռացքնու լըրուց լրացգա. Քաձամ և վիօս, և վիօս, զեր ամռավիօս. Տա՛լլցամադ ծեծուաս լայսածա. ծեծուաս քաձաս մռայէութա, քաձա — տալլցամս; և վիօյս, և վիօյս, զեր ամռավիօյս.

ծեծուաս ցոցոնաս լայսածա.

ցոցոնա ծեծուաս մռայէութա, ծեծուաս — քաձաս, քաձա — տալլցամս; և վիօյս, և վիօյս, զեր ամռավիօյս.

ցոցոնամ մյուրաս լայսածա.

մյուրա ցոցոնաս մռայէութա, ցոցոնա — ծեծուաս, ծեծուաս — ծեծուաս, քաձա — տալլցամս; և վիօյս, և վիօյս, զեր ամռավիօյս.

կարմ տացվս լայսածա.

տացվո կարմ մռայէութա, կարմ — մյուրաս, մյուրա — ցոցոնաս, ցոցոնա — ծեծուաս, ծեծուաս — քաձաս, քաձա — տալլցամս; և վիօյս, և վիօյս, զեր ամռավիօյս.

կարմ տացվս լայսածա.

տացվո կարմ մռայէութա, կարմ — մյուրաս, մյուրա — ցոցոնաս, ցոցոնա — ծեծուաս, ծեծուաս — քաձաս, քաձա — տալլցամս; և վիօյս, և վիօյս լա տալլցամո ամռուցս.

հոցորո տալլցամո ցանիօսարճա?

և վիօս քաձամ?

հոցոր ամռուցս տալլցամո?



## პირველი մասն

Ըլլես პირვეլո մասն  
და პირველი გაზաფხული,  
წითელ-წითელ պաշտօնական  
մռհրտული და მოკაზმული.

Ըլլես թշրოմցելու գործակ,  
ბრწყინვალე და დიდებული,  
მოდის ხალხი, მოგუგუნებს  
ერთ დროშის ქვეშ დარაზმული.

გაუմաრჯოს პირველ մասს,  
გაუմարჯოს ჩენეს ერთობას,  
გაუմարჯოს ერთ შორის  
მტკიც კაզშირს, მტკიც ძმობას!

## ბ ა კ უ ნ ა

გელა მამამ სოფელში წაიყვანა.

— ჩამოხვედი, შვილო? — შეეგება გახარებული პაპა შვილიშვილს. გელა ხელებგაშლილი გაექანა მოხუცისაკენ და კისრზე შემოეხვია.

პაპამ ბატყანი დაახვედრა შვილიშვილს. გელამ ბატყანს ბაკუნა დაარქვა.

— აი, ეს ბატყანი, შვილო, შენთვის ჩამიბარებია, თვალი გვეიროს, ჰიშეკრი ლია არავის დარჩეს, თორემ დაგვეკარგება.

მეორე დღეს პაპამ გელა დილაადრიან გააღვიძა:

— ადექი, შვილო, ბატყანს ეშიება, ვენახში წაიყვანე და ოობის ძირში ბალახი გამოაძოვე.

გელამ ტანსაცმელი ჩაიცვა, პირი დაიბანა, რძე დალია და ბოსლისაკენ წავიდა. ბატყანმა ერთი შეიკუნტრუშა და პატარა მწყემსს ბაკუნით აედევნა.

რა კარგი იყო ვენახში! ნორჩი ბალახის, ვაზის ფოთლისა და სიმინდის ღეროების სუნმა ბატყანი წაახალისა, გელას ფეხ-ქვეშ გაუქვრა და ვაზის ყლორტებისაკენ გაქანდა.

გელამ ძლივს შეაჩერა ბაკუნა და თითის ქნევით უთხრა:

— ციც! ჩემო ბაკუნა, ეს კი არ შეიძლება!

სად წაიყვანა გელა მამამ?

როგორ უკლიდა გელა ბაკუნას?

## ო ც ნ ე ბ ა

პაწაწინა გოგო ვარ,

მედახიან ცელქს.

ჩემს ტებილ საქართველოზე

ახლა ვსწავლობ ლექსს.

ვხატავ წითელ ბაირალს

და ლურჯთვალა ზღვებს,

როცა დიდი გავხდები

და გავიკვლევ გზებს,

მივაშურებ ვარსკვლავეთს,

თანამგზავრზე მალი,

წერილს მოგწერ მარსიდან

კოსმონავტი ქალი.



## 9 მაისი

დაიჭექა, დაიჭუხა,  
 აელვარდა შვიდფრად სივრცე,  
 ახმაურდნენ პატარები,  
 დიღმა მთებმაც ბანი მისცეს.

— ეს რა ხდება, ცა გაიხსნა!  
 უნდა ნახოს ყველამ, ყველამ!  
 არემარე გაანათა  
 გამარჯვების ცისარტყელამ.

## ტექში

გაზაფხულის საღამო იყო. ბიჭები მინდორში თამაშობდნენ.  
 თამაშობით რომ გული იჯერეს, მოლზე წამოგორდნენ.

— ბიჭო, ხვალ სოკოზე წავიდეთ ტყეში! — უთხრა სან-  
 დრომ ამხანაგებს.



— ბიჭებო, ტყეში წასვლა  
კი კარგია, მაგრამ შხამიანი სო-  
კო რომ ვერ ვიცნოთ? — შენიშ-  
ნა ვანომ.

— თვალდახუჭული ვიცნობ  
ყველა სოკოს, — დაამშვიდა ლე-  
ქსომ ამხანაგები.

მეორე დღეს, სისხამ დილით,  
ბავშვები ჟივილ-ხივილით გაუდ-  
გნენ გზას.



აი ტყეც. ბავშვები აქეთ-იქით გაიფანტნენ.

— მე ხრაშუნა ვიპოვე! მე — შავჩოხა! მე — არყა! — გაისმა  
ხმები.

საეჭვო სოკოს ყველა ლექსოსთან მიარბენინებდა.

როდესაც სოკო ბლომად მოაგროვეს, ყმაწვილებმა ტყის  
პირას ცეცხლი ააგუზებული იყო.

გაღვივებულ ნაკვერჩხალზე სოკო საამოდ აშიშხინდა.

სიტყვების ახსნა. მოლი — ახალი ბალახი.

სისხამ დილით — ძალიან ადრე.

ხრაშუნა, შავჩოხა, არყა — სოკოები.

რისთვის წავიდნენ ბავშვები ტყეში?

რა და რა სოკოები ნახეს?

რა უყვეს ბავშვებმა სოკოებს?

გაეცით პასუხი სამივე კოხვაზე და დაწერეთ.




# କୁଣ୍ଡଳ ଦରିଦ୍ର



ଅନ୍ଧରେ ଶୁଣି ଏହି କଥା।

## დ ი ლ ა



ვარდს ვაეფურჩქნა კოკორი  
 გადახვეოდა იასა,  
 ზამბახსაც გაღვიძებოდა  
 და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა ღრუბლებში  
 წკრიალ-წკრიალით გალობდა,  
 ბულბულიც გახარებული  
 ნაზის ხმით ამას ამბობდა:

— აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
 ილხინე, ივერთ მხარეო,  
 და შენც, ქართველო, სწავლითა  
 სამშობლო გაახარეო!

სიტყვების ახსნა. ივერთ მხარე — საქართველო.

## კუდა ხარი და ბუზები

ზაფხულის პაპანაქება იდგა. საქონელი ჩრდილს შეჭარე-  
 ბოდა. გარს აუარებელი ბუზი ეხვია და აწუხებდა. პირუტყვე-  
 ბი წამდაუწუმ კუდებს იქნევდნენ და იგერიებდნენ აბეზარ  
 მწერებს.

ამას ვერ ახერხებდა მხოლოდ ერთი კუდა ხარი, რომელსაც  
 ურიცხვი ბუზი დახვეოდა და ჰქმდებდა.

თვითონ რომ ვერა გაეწყო რა, ხან ერთ ხართან მივიდოდა,  
 ხან მეორესთან: ევების იმათი გრძელი კუდი მეც მომხვდეს და  
 ბუზები დამიფრთხოსო.

ხარებმა ჰკითხეს:



— კუდავ, რას დაეხეტებიო?  
— ვერა ხედავთ, ბუზებს გიგერიებთო! — ამაყად უპასუხა  
კუდამ.

---

ანდაზა. კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უგერიებდაო.

ჩოგორ ხარს ვეძახით კუდა ხარს?  
ჩოგორ ივერიებდნენ ხარები ბუზებს?  
ასტომ ვერ ახერხებდა კუდა ბუზების მოვერიებას?  
ასტომ მიღიოდა კუდა ხარი სხვა ხარებთან?  
რა დაიტრაბახა კუდამ?



## შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველი არის დიდი ქართველი პოეტი. მან დაწერა „ვეფხისტყაოსანი“.

## კოდალა

კოდალას ტყე უყვარდა. ბევრი ხე იდგა იმ უღრან ტყეში: მსხვილი და წვრილი, მაღალი და დაბალი, უტოტო და ტოტიანი, საღი და ჭიანი.

— კრრრ!.. კრრ! — უკაკუნებდა კოდალა ნისკარტს.

— რას იმაღლებით ჭია-მატლებო? სინათლეზე გამოდით, მე გახლავართ კოდალა, თქვენი მტერი, მაქვს გრძელი ნისკარტი. სად წამიხვალთ?! — ასე იმუჯრებოდა შავი კოდალა.

არც ჭრელი კოდალა იყო ჭია-ღულების ნაკლები მტერი. ისე მიეკვრებოდა ხეს გრძელი კლანჭებითა და მაგარი ფრთების ბოლოებით, როგორც ტკიპა, თან უკაკუნებდა და უკაკუნებდა გარედან. მწერები გამოჰყავდა და სანსლავდა.

---

რა სარგებლობა მოაქვს კოდალას?

## ნათელა და ციცინათელა

დედამ პატარა ნათელა სოფელში წაიყვანა. ყველაფერი მოეწონა იქ ნათელას: მწვანე ველი, პეპლები, ყვავილები, მაგრამ ყველაზე უფრო ციცინათელა მოეწონა.

— ანათებს! ანათებს! — გაიძახოდა ნათელა და დასაჭრად დასდევდა.

სდია, სდია და ბოლოს ერთი დაიჭირა ხელის გულზე დაისვა და შეუტერა:

— ფუუ, ფუუ. ჩაქრი!

ირგვლივ ყველამ გაიცინა. ნათელასაც გაეცინა: მიხვდა, რომ ციცინათელა არ დასწვავდა.

---

გამოცანა. ერთი პატარა მანანა

ხან გაიცინებს, ხან — არა.

რა მოეწონა ნათელას ყველაზე უფრო?

რა ეგონა მას?



# ნაცარქექია

## I

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ნაცარქექია, ყოვლად უქნარა და არაფრის გამკეთებელი; იჯდა კერასთან და ჩხირით ნაცარს ქექავდა. მოეწყინათ ძმებს მისი მუქთად რჩენა და გარეთ გააგდეს. ზურ-გზე ერთი გუდა ნაცარი მოჰქიდეს, ხელში სადგისი მისცეს. კალთაში ჭყინტი უველი გამოუხვიდეს საგზლად და გაისტუმ-რეს. — დაიკარგე ამ ჩვენი ქვეყნიდანაო!

ტირილით დაადგა გზას საბრალო ნაცარქექია. წყალში გას-ვლა ვერ გაბედა და ნაპირზე დაჯდა. სალამომდე იქ იცადა. სალამოს ნახა, რომ ერთი უზარმაზარი დევი მოადგა წყალს გაღმიდან და ხვრება დაუწყო.

— ჰეი, რომელი ხარ მანდა? აქ მოდი, მხარზე შემისვი და გალმა გამიყვანე, მე ფეხის დასველება მეზარებაო! — დიღგუ-ლად გასძახა დევი ნაცარქექიამ.

დევმა გამოხედა და გაკვირვებით ჰკითხა:

— ვინა ხარ და რა სულიერი, რომ მაგას მიბედავო?

— ჰმ, მე შენ გიჩვენებ, ვინცა ვარ, რომ არ მებრალებოდე, შე ბრიყვო, შენაო! იცოდე, სამჯერ გაპატიებ შეცდომას და მერე კი ცოცხალი ველარ გადამირჩებიო! — უპასუხა ნაცარქე-ქიამ. — შენ ჩემი არ გაგიგონია? მე ვერმიცანა მქვია. ვერ გა-მიმეტებია, თორებ დედამიწას რომ ხელი მოვავლო და ზეცას შევტყორცნო, ქვეყანა დაიქცევაო. გინდა, ახლავე გიჩვენო ჩე-მი ძალა? აბა, შენ მანდ აიღო ერთი ქვა, მეც აქ დავწვდები მეორეს, მოვუჭიროთ ხელი და, ვინც წვენს გაადენს, კაციც ის იქნება და წვერ-ულვაშიც იმას ესხმებაო!

აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფუშვნა. დაიხარა ნა-ცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოილო კალთიდან უველი, მოუჭირა ხელი და წურწურით გაადინა წვენი.

გაუკვირდა დევს, ეს ვინ ყოფილაო!

— აბა, ერთი გავიქცეთ რიყეზე და, ვინც უფრო მეტ მტვერს აადენს, ბიჭიც ის იქნებაო! — კიდევ უთხრა ნაცარქექიამ.

აძუნძულდა გაღმა რიყეზე დევი და სიპ ქვებს სულ ლაწა-ლუწი დააწყებინა. გაკუნკულდა გამოლმა ნაცარქექია, უჩხვლი-ტა და უჩხვლიტა გუდას სადგისი. გამოვრდა ნაცარი და ისეთი კორიანტელი დადგა, რომ თვალით აღარა ჩანდა რა.

## II

შეშინდა დევი, დაღუნა თავი, ეახლა მორჩილად ნაცარქე-ქიას და მხარზე შეისვა. შუამდე რომ შევიდნენ წყალში, დევ-მა უთხრა:

— ბატონო ვერმიცანავ, როგორლაც მემჩატებიო.

— გემჩატები? შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მა-გას აღარ წამოროშავდი. უჩინარი ბაწრით რომ არ ვიყო ცაზე მიბმული და იქ არ მიჰყერდნენ, ქვესკნელში ჩაგიტანდი. აბა, ვნახოთ, ერთი ცოტათი შემიშვან ხელიო! — თქვა ნაცარქექიამ, ამოილო უბიდან სადგისი და დააჭირა კისერზე.

— ვაიმე, ვაიმე! ხუ, ხუ, შენი ჭირიმე! უბრძანე, რომ ისევ აგწიონო! — შეეხვეწა დევი და ნაცარქექიამაც ამოაძრიო საღ-გისი.

დევი დარწმუნდა, ვერმიცანა მართლა საშინელი სულიერი ყოფილაო, და სახლში მიიწვია. დიდი პატივი სცა და ვახშმის მზადებას შეუდგა. დევმა მოზილა ცომი, ჩააკრა კეცში და ცეცხლს მიუფიცხა. ოვითონ შეშის მოსატანად წავიდა და სტუ-მარს დაუბარა:

— თუ უკაცრავად არ გახლდე, პურს ყური უგდე, რომ არ დაიწვასო.

პურს რომ ცალი გვერდი შეებრაწა, ნაცარქექიამ კეცის მობრუნება მოინდომა და დაუწყო ძიგილაობა. კეცი წამოიქ-ცა, ნაცარქექიას დაეცა და ქვეშ მოიწყვდია.

დევი რომ დაბრუნდა, ნაცარ-  
ქექია კეცის ქვეშ სულზე მიგ-  
დებული ნახა აღარც ფერი  
ჰქონდა, აღარც ხორცი.

— რა დაგემართაო? — ჰკი-  
თხა დევმა.

— რა უნდა დამმართოდა, მუ-  
ცელი ამტკივდა და ზედ ცხელი  
კეცი დავიდე. ახლა კი გამიარა,  
აღარა მიჭირს რა, მოდი ამა-  
ცალეო!

დევმა მოწიწებით აასრულა  
ბრძანება.

ვახშმად რომ დასხდნენ, დევ-  
მა უცებ ცხვირი დააცემინა და  
სტუმარი სხვენზე შეაგდო. ნაცარ-  
ქექიამ დირეს დაუწყო ბლაუჭი.

— მანდ რას შვრებიო? —  
ჰკითხა დევმა.

— როგორ თუ რას ვშვრები?  
ვისთან გაბედე ცხვირის და-  
ცემინება? ამ ჩხირს ავიღებ, დაგ-  
კრავ და სულს გაგაფრთხობი-  
ნებო!

დევმა იფიქრა, ეს რა მოუს-  
ვენარი და გულბილწი ყოფი-  
ლაო! მე დიდი გაჭირვებით გავ-  
დე და ეს ჩხირს ეძახის ამ



უშველებელ დირექტორი! ერთხელაც იქნება, მე მაგის მიზეზიანობას ველარ გადავურჩებით. დაპკრა ფეხი, გავარდა გარეთ და ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

დევის სახლ-კარი მთელი თავისი მოწყობილობით ნაცარ-ქექიას დარჩა. წავიდა, მოიყვანა ძმები, ბინა მიუჩინა და უთხრა: ხომ გაგიგონიათ — „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

რა უყვს ძმებმა ნაცარქექიას და რატომ?

რა და რა ხერხი გამოიყენა ნაცარქექიამ დევის დასამორჩილებლად?

## მოუთმენლობის მსხვერპლი

ივლისის საღამო იყო. სამი დაქანული მგზავრი სოფელში შევიდა და ცივი წყაროსკენ გაეშურა. პირველი მგზავრი მოუთმენლად მივარდა წყაროს, პირქვე დაყმხო და ყინულივით ცივ წყალს დაეწაფა, მერე ადგა და იქვე, წყაროს თავზე, წამოწვა.

მეორემაც გული იჯერა წყაროს წყლით, მაგრამ კი არ დაჯდა, წყაროს თავზე დაიწყო სიარული, თუმცა ძლიერ დაღლილი იყო.

მესამემ წყურვილსა სძლია. ჯერ კარგად დაისვენა და მერე დალია წყალი.

პირველ მგზავრს იმავე ღამეს ფილტვების ანთება დაემართა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა, მეორე ცოტა უქეიფოდ შეიქნა. მესამეს კი არა ვნებია რა.

რატომ დაემართა ფილტვების ანთება პირველ მგზავრს?

რატომ გახდა აფად მეორე?

რატომ არ გახდა აფად მესამე?

# ବାବାଙ୍ଗଳର



ଅନ୍ଧରେଟ ହସ ଶୁରାତିରେ.



## ოთხი სურვილი

### I

მოვიდა ზამთარი და თან მოიტანა დიდი თოვლი. პატარა ნიკომ ციგით თოვლზე ბევრი ისრიალა. მერე გაწითლებულმა მამასთან მიირბინა და უთხრა:

— უჰ, მამილო, რა კარგია ზამთარი! ნეტავ სულ ზამთარი იყოს!

— შენი სურვილი ჩემს უბის წიგნაკში ჩაწერა, — უთხრა მამამ. ნიკომ თავისი სურვილი მამის უბის წიგნაკში ჩაწერა.

### II

დადგა მხიარული გაზაფხული. მინდორ-ველი ამწვანდა, ტყე ფოთლებით შეიმოსა, თბილი ქვეყნებიდან დაბრუნდნენ შოშიები, მერცხლები, ბულბულები, გვრიტები... ბუზ-პეპლებიც გამოჩნდნენ. ნიკომ პეპლებს დიდხანს სდია. ბევრი ყვავილი დაკრიფა და ლამაზი თაიგულები გააკეთა. მერე მიირბინა მამასთან და უთხრა:

— მამილო, რა მშვენიერია გაზაფხული! ნეტავ სულ გაზაფხული იყოს!

მამამ ნიკოს ეს სურვილიც თავის უბის წიგნაკში ჩაწერინა.

### III

მოვიდა ცხელი ზაფხული. პურის ყანა დამწიფდა. გლეხები ყანას მკიდნენ. ნიკო მთელი დღე მინდორში იყო. სან ძნას



ეზიდებოდა, ხან მდინარეში ბანაობდა, ხან მარწყვს კრეფდა.  
საღამოს ბავშვი სახლში დაბრუნდა. მივიდა მამასთან და სიხა-  
რულით უთხრა:

— მამილო, დღეს რა კარგად გავატარე დრო. რა კარგია  
ზაფხული, ნეტავი სულ ზაფხული იყოს!

ეს სურვილი მამამ უბის წიგნაკში ჩაწერინა ნიკოს.

#### IV

დადგა მდიდარი შემოდგომა. ბალები აივსო ხილით. დამ-  
წიფდა ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ლელვი, ყურძენი, კომ-  
ში და ბევრი სხვა. ნიკო ხშირად ბალში ტრიალებდა. ჭამდა  
ტკბილ ყურძენს, კრეფდა მწიფე ხილს. საღამოს მამას უთხრა:

— მამილო, მამილო, რა კარგია შემოდგომა, ის ყველა  
დროს სჯობია!

მაშინ მამამ უბიდან ამოილო წიგნაკი და ნიკოს წააკითხა  
იქ ჩაწერილი სიტყვები.

გამოცანა. ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი ასხია,

სცვივა და სცვივა ფოთოლი, ისევ იმდენი ასხია.

## მიმიხარია სოფლისკენ

მიმიხარია სოფლისკენ,  
 სადაც ზურმუხტი მთებია,  
 პირველი შემეგებება:  
 „შენ გენაცვალოს ბებია!“

ლობესთან ჩაიკისკისებს  
 წყარო ცივი და ანჯარა.  
 ხელებზე შემომახტება  
 ბაბუას ყურშა პატარა.

ვაი, თუ აღარ ვახსოვარ,—  
 მას შემდეგ მთელი წელია,  
 მთელი წელია ბებოსთან  
 ერთხელ არ მიმიწერია.



გამოცანიბის ახსნა

- 83.
- 15 — ტყი
- 34 — ბორბლები
- 37 — ქბილები და ენა
- 39 — მამალი
- 55 — მელია
- 99 — ფუტკარი
- 124 — ციცინათელა
- 131 — წელიწადი და თვეები.

## ს ა რ ჩ ვ 3 0

სკოლისაკენ — ლექსი ი. ევლოშვილისა . . . . .	3
კეთილი ძმა — ი. გოგებაშვილის მიხედვით . . . . .	4
დედის დარიგება — ლექსი გ. ჭალადიდელისა . . . . .	5
მოსიყვარულე შვილი — ა. ხახუტაშვილისა . . . . .	6
სასაუბრო	
თენგიზის მანქანა — ნ. ბეზარაშვილისა . . . . .	7
სიმღერა — ლექსი გრ. აბაშიძისა . . . . .	8
ამხანაგები — ი. გოგებაშვილის მიხედვით . . . . .	9
ჭარი და საბაქელი — ი. გოგებაშვილის მიხედვით . . . . .	10
და-ძმა — ლ. ჭიჭინაძისა . . . . .	11
გმირები — ლექსი ა. ონელისა . . . . .	12
თხა და გიგო — ი. გოგებაშვილისა . . . . .	13
ჯიური თხები — ი. გოგებაშვილის მიხედვით . . . . .	14
ზორპარეში — ა. ხახუტაშვილისა . . . . .	15
ჩვენი მასწავლებელი — ლექსი გ. კაჭახიძისა . . . . .	16
თხა და მელა — სულხან-საბა ოჩბელიანის მიხედვით . . . . .	17
ჩემი მხარე — ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .	18
სასაუბრო —	19
„დედაენა“ — ლექსი გ. ლეონიძისა . . . . .	20
დათუნები — კ. გოგიაშვილისა . . . . .	21
ბუზი და ეტლი — ეზოპის მიხედვით . . . . .	22
საწყალი მელა — ხალხური ლექსი . . . . .	23
თავნება თავვი — ი. გოგებაშვილისა . . . . .	24
ჩხერბს თავლაფიანობა მოსდევს — ი. გოგებაშვილისა . . . . .	25
ყველაზე გემრიელი საუზმე — ვ. კახაძისა . . . . .	26
მგელი და ძალლი — ლ. ტოლსტოისა . . . . .	27
როველი — ლექსი შ. მღვიმელისა . . . . .	29
აკიდო — ვ. ასლამზიშვილისა . . . . .	30
პატარას — ლექსი ი. აბაშიძისა . . . . .	31
კოლმეტერნეობის როველი — ა. ხახუტაშვილისა . . . . .	32
მატარებელი გადაარჩინა — ნ. კეცხოველისა . . . . .	33
ხვალინდელი დილა — შ. ასანიშვილისა . . . . .	34
ნოემბრის დილა — ლექსი ი. ნონეშვილისა . . . . .	35
სასაუბრო	36
ალამიანის სხეულის ნაწილების ჩხები — ი. გოგებაშვილისა . . . . .	37
სულელი ბატონი და კალატოზები — ლატვური ზღაპარი . . . . .	38
მქეხებარა მამალი — ლექსი შ. მღვიმელისა . . . . .	39

პატარა წრეულენა — ი. გოგებაშვილის მიხედვით	40
შემოდგომის სურათი — ლექსი ვაჟა-ფშაველასი	42
მოხერხებული გლეხი — (ბულგარული ამბავი) თარგმ. მ. მაჭა- ვარიანისა	42
მეზობლები — ი. გოგებაშვილის მიხედვით	44
ვაშლი და შაქარა — ი. გოგებაშვილის მიხედვით	44
კურდლელი და ბაჭიები — ლექსი ი. გრიშაშვილისა	46
კოჭლი კაცი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	47
ქეთოს მერცხალი — ლექსი ლ. მეგრელიძისა	48
სასუბრო	49
ფრინველების გადაფრენა — ი. გოგებაშვილის მიხედვით	50
სამი დათვი — ზომარი ლ. ტოლსტოისა .	50
მელია და გლეხი — ალ. მიჩინაშვილისა	54
მარამწვანე ხეები — ი. გოგებაშვილის მიხედვით	55
ბევრზე ბევრი — მარიჯანისა	57
ბავშვების სიხარული — ლექსი შ. მლეიმელისა	58
პირველი თოვლი — ი. ევდომშვილისა	59
დაგვიზამთრდა, დაგვიზამთრდა! — ლექსი გრ. აბაშიძისა	60
ღირტოს თოვლის პაპა — ლ. ჭიათურისა	60
ნაძვის ხე — ლექსი შ. მლეიმელისა	61
ეზოს შშეენგბა — ლ. ჭიჭინაძისა	62
ჩვენს კოპტია ნაძვის ხეზე — ლექსი გ. ძნელაძისა	63
გადაარჩინეს — ხალხური	64
ახალი უბანი — შ. ასანიშვილისა	65
მეფე და მხატვარი — სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით	66
ლომი და თაგვი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	67
კურდლოს სიზმარი — ხალხური ლექსი	67
ხუთი გოჭის ამბავი — ზღაპარი .	68
ჩიტი და ბავშვი — პლეშნიკოვი, თარგმანი ა. წერეთლისა	71
სპილოს შურისძიება — „ჩირალდნიდან“	73
სამგორი — კ. გოგიაშვილისა	74
წერილი ბებიას — ლექსი გ ქუჩიშვილისა	75
გარეული ტახი და მელა — ეზოპისა	75
მელია — ლექსი ვაჟა-ფშაველასი	76
მაცდური მელია და მელი — „განთიადიდან“	76
ძალა ერთმამზა — სულხან-საბა ორბელიანისა .	77
სიმღერა საბჭოთა არმიზე — ლექსი გ. კაჭახიძისა	78
ჩემი ძმა — შ. ასანიშვილისა	79
სათბურში — შ. სამადაშვილისა	80
სასუბრო	81

25 თებერვალი — ლექსი შ. მღვიმელისა	82
დედობრივი სიყვარული — ი. ტურგენევისა	82
ზამთარი მიღიას — ირ. ევდოშვილისა	83
ყურადღება — ლექსი ი. გრიშაშვილისა	84
თოვლი და ენძელა — თარგმანი გერმანულიდან შ. ამირანაშვილისა	84
ჩუმად, ფისო! — ლექსი ნ. ჩაჩავასი	85
დედა და შვილი — ლექსი დ. მეგრელისა	86
ცრუპნტელა — ი. გოგებაშვილისა	86
სასაუბრო	87
გაზაფხული — ლექსი შ. მღვიმელისა	88
ბერიკაცი და ნამყენი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	88
ჯეჭილი — ლექსი ი. დავითაშვილისა	89
ვარის ჭეუ — ი. გოგებაშვილის მიხედვით	90
ია და ბავშვი — ლექსი ლ. მეგრელისისა	91
ვიტვიტა და ბათურა — ზღაპარი კ. გოგიაშვილისა	91
მე ყველაფერს მირჩევნია — ხალხური ლექსი	93
სასაუბრო	94
ია — გ. ნატროშვილისა	95
მელი და მწყერჩიტა — ხალხური ზღაპარი	96
ქურდი და მამალი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	97
ვის უმღერის ჩიტი ჩიორა? — ლექსი ა. ონელისა	98
ჭიანჭველა და ფუტკარი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	99
მოხერხებული ყვავი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	100
მერცხლის სიმღერა — ლექსი ვაჟა-ფშაველასი	100
ყურცველი და ნაბია — ი. ევდოშვილისა	101
ცრუ და მართალი — ხალხური ზღაპარი.	102
ჩვენი ბალი — ირ. ევდოშვილისა	105
ალუბალი — რ. ქორქეისი	107
ლენინი და ბავშვები — ლექსი ა. თევზაძისა	108
გაზაფხული — ლექსი კ. აბაშიძისა	109
ლია და ფუტკარი — ლ. ჭიჭინაძისა	109
მარა და ჭიამაია — თ. ჩხაიძისა	110
ცრუ — ი. გოგებაშვილის მიხედვით.	111
ჩემი სამშობლო — ლექსი ლ. ასათიანისა	112
მგელი და ბატყანი — ი. გოგებაშვილისა	112
ფუტკარი და მტრედი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	113
თალგამი — კ. უშინსკისა	114
პირველი მაისი — ლექსი გ. ქუჩიშვილისა	115
ბაყუნა — ი. ურჯუმელაშვილისა	116
ოცნება — ლექსი მ. ფოცხიშვილისა	116 135



1. სამართლებულო	117
ტური — ღ. თურდოსპირელისა	120
სასაუბრო	121
დილა — ლექსი სოსელოსი	121
კუდა ხარი და ბუზები — ი. გოგებაშვილისა	121
შოთა რუსთაველი	123
კოდალა — თ. რაზიევაშვილისა	124
ნათელა და ციცინათელა — თ. ჩხაიძისა	124
ნაცარქექია — ზავარი	125
მოუთმენლობის მსხვერპლი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	128
სასაუბრო	129
ოთხი სურვილი — ი. გოგებაშვილის მიხედვით	130
შიშიხარია სოფლისკენ — ლექსი ი. აბაშიძისა	132

Рамишвили Валерian Фомич

### ДЕДАЭНА

для первого класса, прошедшего подготовительный класс  
(на грузинском языке)

ИБ № 299

რედაქტორი ნ. ს ე ხ ი ტ ა შ ვ ი ლ ი  
მხატვრული რედაქტორი თ. კ ა რ დ ე ლ ა შ ვ ი ლ ი  
ტექნიკადეტორი რ. გ ო გ ი შ ვ ი ლ ი  
კორექტორი ე. ბ ა ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი  
გამოშევება ე. მ უ ზ ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა ასაწყობად 27/III-78 წ. ხელმოწერილია და-  
საბეჭდად 15/IV-78 წ. ოფსეტის ქაღალდი 70×90<sup>1/16</sup>.  
პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 9,86. სალრიცხვო-საგამო-  
ცემლო თაბაზი 6,08. ტირაჟი 45.000. შეკვ. №434

ფასი 20 გაბ.

გამოშეცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვი-  
ლის ქ., 5.

Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Мард-  
жанишвили, 5.

1978



საქართველოს სსრ გამსახუმის საგამოშეცემლო-პოლი-  
გრაფიკული გაერთიანება „განათლების“ კომისიას.  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

პცელია გზა ცოდნისაკენ. ვინები უნი ერთგული მემობარი,  
 დამხმარე, მონიშვნი, კარგად მომიარე, რომ მოავალ უკრს კვლავ  
 ვინდღო უნი უაღრისი ვებრძნების სამსახური.

(სკოლის დასახელება)

№	სასწავლო წელი	მოსწავლის გვარი და სახელი	წიგნის მდგომარეობა (მიღებისას)	შეფასება





20 333.

117

618015

